

F-128  
1913

სახელმწიფო უნივერსიტეტი

# მოსკვალი

რელიგიური  
მუსიკა.

№ 5 დ. 6.

მარტი

1913 წ.

## შირვანი:

გ. გულბაათიშვილი .....	რა ეშველება გამოფიტულ შირვან .....	3
ფ. ზაიცევი .....	მავნე მწერების და მათგან დაავადებულ მცენარის შეკრება .....	6
ს. ედილაშვილი .....	კულტურული დუღიძედა ანუ დროშები და მისი მნიშვნელობა მეღვინეობაში ..	8
ი. ახალაია .....	საუკადებო ცნობები .....	11
ვ. რცხილაძე .....	საგულისხმო მოხსენება (თარგმანი) ..	12

კურნალი წელიწადზე ღირს — 3 მანეთი. ||| მისამართი: თიფლისი, ვარაუბანი, 5.

# „მოსავალი“ წელი ღია დანართი

მიღება ხელის-მოზრის 1913 წლისათვის

## უფლება ღია დანართი ვან.

მისამართი: თიფლისი, ბარათის ქ. № 5.

„მოსავალის“ რედაქციაში ისყიდება უფლების კომპლექტები 1909 წ., 1910 წ., 1911 წ. და 1912 წ. უყდო და ყდაკაზმული.

იყიდება აგრძელებული ცალკე გამოცემები:

„კანონი“ მელვინე-მევენახეთა კომიტეტებისა	15 კაბ.
„ინჯა“	5 "
„კართოფილი“	5 "
„ბამბის თესვა-მოყვანა“	5 "
„ქიმია როსკოსი“ (—მეორე გამოცემა)	30 "
„სახოგადოებრივი ცხოვრებიდან და შვერცარიის ძირითადი კანონები	25 "
„კრებული არიმეტიკული ამოცანების“	50 "
„მცენარენი და ცხოველნი“	40 "

## ამარისული ვაზის სანერგე კლონდიური ელემენტის ში

ერთადერთი ურჩევს და ყიდის დამყნილ ვაზებს საუკეთესო ყოველნაირ საძირე ამერიკულებზე ყოველნაირ მიწებისათვის; ერთადერთი საშულებაა რომ მიღლოთ გამძლე ვენახები, კარგი მოსავალი და კარგი თვისების ღვინო. მყიდველების ამორჩევით საუკეთესო და ახალი პირდაპირ ნაყოფიერი გიბრიდები. კატალოგი, პრესკურანტები და ყოველგვარი აღსანა უფასოთ.

ქუთაისის კანტორა, მიხაილოვის ქუჩა, სახლი ძმათა გოკიერლოვისა. მისამართი წერილებისა და ტელეგრამებისათვის: ქადაგი ქუთაის.

## მოიპიოთხათ აზრებუმის ჭიდე მუნიციპალი თასლი დარის დეპარტამენტის

კავკასიის სახოფლო-სამეურნეო და ქართულ სამეურნე სახოფლოების სადგორ ში, ბარიატინსკის ქუჩა, 5.

მისამართი ღია დანართი 60 კაპ.

## რა ეშველება გამოვიტულ მიწას

ბუნებრივი სასუქით ნიადაგების გა-  
პოხიერებას, იქნება ეს სასუქი საქონ-  
ლის ნეხვი, თუ მწვანე სასუქი (უკანვე  
ნიადაგში ჩახნული მცენარე აყვავილე-  
ბის დროს), ერთი მხარე აქვს, რომელ-  
საც მინდა მკითხველის ყურადღება  
მივაქციო.

წარმოვადგინოთ რომ სამი უმთავ-  
რესი სინოყივრეებიდან — აზოტი, კალი,  
ფოსფორი, რომელნც ესაჭირებიან  
მცენარეს, ერთი რომელი სინოყივრე,  
ვსოდეთ მაგალითად ფოსფორი, ნაკ-  
ლებად ურევია ჩვენს ნიადაგს და ახ-  
ლო-მახლო მიწებსაც.

ამ სინოყივრის ნაკლებობას, აშკარაა,  
იგრძნობენ მცენარენი, რომელნიც  
დაიზრდებიან აქ. ჯერ ერთი რომ ყვე-  
ლას ცუდი ზრდა ექნებათ, ზოგნი სუ-  
ლაც ვერ იხარებენ და მერე ყველა აქ  
მოსულ მცენარეებს ფოსფორი ნაკლე-  
ბათ ექნებათ სხეულში.

გაშასადამე, ჩავხნავთ ამ მცენარეებს  
ისევ ნიადაგში, თუ ჯერ საქონლეს  
შევაჭმევთ და მერე ამ საქონლიდან  
მიღებულ სასუქს შევახმარებთ ნიადაგს,  
სულერთია, ამ უკანასკნელს ორივე  
შემთხვევაში მხოლოდ ის სინოყივრე  
დაუბრუნდება უმთავრესად, რაც იქი-  
დან იყო ამოღებული, ე. ი. ფოსფო-  
რი ისევ ისე ნაკლებათ ექნება, რო-  
გორც წინათ.

გამოდის რომ გაპოხიერება ამგვარი  
მწვანე სასუქით ან საქონლის ნეხვით  
ვერ მისცემს ჩვენს ნიადაგს იმ სინო-  
ყივრეს, რომელიც მას ესაჭიროება და  
ამიტომ ის მცენარენი, რომელნიც

ბლობად თხოულობენ ფოსფორს, რო-  
გორც წინად არ მოდიოდნენ ჩვენს  
მამულში არც როგორც გარეულნი და  
არც ჩვენ მიერ დათხსილნი, ისე კვლა-  
ვაც არ იხარებენ.

ეს არის ალბად იმის მიზეზი, რომ  
საქონლის სასუქი ყველა ერთნაირი  
ღირსებისა არ არის.

გარდა ამისა, ყველა იმ სინოყივრეს  
და მასთან იმ ზომით, რა ზომითაც  
ამოღებული იყო იგი ნიადაგიდან  
ამოსულ მცენარეებით, საქონლის სასუ-  
ქი ვერ მისცემს, რაღაც ამ მცენა-  
რეთა ნაყოფი, თესლი, ერთი სიტყვით,  
რაც რამ ძვირფასი იყო და რისოვისაც  
დავთესეთ და მოვიყვანეთ მცენა-  
რე, საქონელმა კი არ შეჭამა, არამედ  
აღამიანმა მოიხმარა, გაყიდა, წაიღეს  
შორს სხვადასხვა სახით და გზით და  
თავისდღეში აღარ დაუბრუნდება  
ჩვენს მამულს. აბა წარმოიდგინეთ,  
რამოდენა ხილეულობა, ბალეულობა,  
ბოსტნეულობა, თესლეულობა მიღე-  
ბული ჩვენი მიწა-წყლიდან იგზავნება  
სხვაგან ყოველწლივ, რამოდენა ვაზის  
წვენი მიღის აქეთ-იქით ქვეყნებში გა-  
მოწოვილი ჩვენი მამულიდან, და მა-  
შინ მიხდებით იმ დანაკლისს, რაც  
ჩვენ მამულს აკლდება და აღარ უბ-  
რუნდება უკან.

ნოუიერი მამული უძირო ბოჩკა  
რადია. ახში ეს სინოყივრე გამოილე-  
ვა, მამული გამოიფიტება და პატრიონი  
ხელცარიელი დარჩება, თუ მამულს  
უკან არ დაუბრუნა იმის სამაგიერო,  
რაც იქიდან მიიღო.

აქედან თავისთავად იბადება საკითხი: რა საშუალებით მოცემ ჩვენს მამულს უკან ის სინოკივრე, რასაც იგი მოსავლის მოყვანაზე ჰარჯავს და ამასთან როგორ მოვახერხოთ ისე, რომ ამ სამაგიეროს მიცემა უფრო იაფად დაგვიჯდეს, ვიდრე რაც მივიღეთ, ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ, ამ აღებ-მიცემაში ჩვენსა და ჩვენს მამულს შორის როგორ მოვიქცეთ ისე, რომ ჩარჯი ნაკლები გვქონდეს შემოსავალზე და მამულს კი, თუ იმაზედ მეტი არა, იმოდენავე სინოკივრე მაინც უბრუნდებოდეს უკან, რამდენიც მას დაეხარჯა მოსავლის მოყვანაზე. აი საკითხი, რომლის ძიებაშია დღეს სამეცნიერო და პრაქტიკული მეურნეობა.

ვიდრე ხალხი იყო ცოტა; მიწა ბევრი, საქონელი ბლობად, საქონლის სასუქი იაფი და ადვილი საშვარი, მაღამდე უწივლელ მეურნესაც შეეძლო მეურნეობა. წელს აյ მოხნავდა, მერმის იქ, იქითმერმის სხვაგან, დასკუპაობდა როგორც ეპრიანებოდა. ეხლა კი ველარ მივართვი. დროა ჩვენმა მეურნეა ყურები დაიბლერტოს და სამეურნეო სწავლა-განათლებით შეიარაღდეს, თუ სურს რომ მამულმა აცხოვროს და შიმშილით არ მოკვდეს.

ვინც მწვანე სასუქით აპონიერებს თავის გამულს ან საქონლის სასუქი მოეპოება საქმაო, ის იმას როდილა დაგიდვეთ, რა და რა შემადგენელი ნივთერებანი არიან მის ბუნებრივ სასუქში, ან რომელი სინოკივრე რამდენი ურევია. აი როცა ეს ბუნებრივი სასუქი გამოელევა მას და იძულებული გახდება სხვა საშუალება იხმაროს, მაშინ დადგება იმის ჭაპანწვეტა. იძულებული იქნება გამოკვლიოს რო-

მელი სინოკივრე აკლია მის მამულის ნიადაგს, შეისწავლოს ამა თუ იმ სინოკივრის მისაცემად რა-და რა მასალა იხმარება და როგორ უნდა იყოს ეს მასალა შეზავებული ხელოვნურად, რომ საჭირო სასუქი გამოვიდეს.

ხელოვნურ სასუქების მოსამზადებლად ზოგი მასალა თვით მიწაშივე იპოება (გიპსი ფოსფორი), ზოგიც სხვადასხვა ფაბრიკებში და ქარხნებში აქვთ ხოლმე გადასაყრელი. პირველი გვარის მასალაც და მეორე გვარისაც ერთგვარ დამუშავებას თხოულობენ, ესე იგი ხელოვნურად უნდა მომზადდეს იმათიდან სასუქი. მემამულემ უნდა იცოდეს, რომელი ხელოვნური სასუქი არგებს იშის მამულს. სასუქის არჩევა დამოკიდებულია ნიადაგზე. ერთიდაიგივე ხელოვნური სასუქი შეიძლება ერთ ნიადაგისათვის დიდად სასარგებლო იყოს, მეორეს მხოლოდ ცოტათი არგოს, მესამეს სრულებით არ გამოადგეს. გარდა ამისა თვით მცენარესაც მნიშვნელობა აქვს: ერთი რომ ერთ სასუქს თხოულობს, მეორეს სხვა ესაჭიროება.

შეიძლება თვით სასუქის გამყიდავმა გითხრათ, რომელი სასუქი როგორი ნიადაგისათვის არის გამოსაღები, მაგრამ ეს არა კმარა.

უნდა იცოდეთ თქვენი მამულის ნიადაგი როგორი თვისებისაა, რო შეგეძლოთ სასუქის შერჩევა. ამის გამოსაკვლევათ კი ცდა არის საჭირო, რომელიც თქვენ თითონ შეგიძლიანთ მოახდინოთ ასე:

შემოღობეთ თქვენს მამულში პატარა აღილი, დაბარეთ, დათოხნეთ და გაყავით რეა ნაჭრად. თითოეულ ნაჭრის გარშემო შომოსავლელად ბილი-

კები გაუკეთეთ. შემოლობილი ადგილი იმ ვარაუდით უნდა აიღოთ, რომ თითო კვალს საგძე-სიგანე ჰქონდეს ორ-ორი საუენი მაინც, ე. ი. თითო კვალი იყოს ოთხი კვადრატიული საუენი. ყველა კვლებს ცალი მხრიდან დაურცვით პალები და დანი შედ ნომრები.

შემდეგ აიღეთ სამი უმთავრესი სინიკივრის (აზოტის, კალის და ფოსფორის) სასუქები: ჩილის გვარჯილა, კალის მარილი 30%—40%, სუპერ-ფოსფატი და გააპატივეთ მათით თითოეული კვალი, როგორც ქვემოთ მოყვანილ უჯრებშია დანიშნული. ყველი სასუქი ცალკ-ცალკეც უნდა იცადოს და სხვებთან შეზავებულიც. ამიტომ ერთ კვალს მიეცით მარტო აზოტი, შეორებს—კალი, მესამეს ფოსფორი, მეოთხეს—აზოტი და კალი, მეხუთეს—გაუპატივებელი დარჩება შესადარებლად ანუ საკონტროლოდ, მეექვეს—მიეცით აზოტი და ფოსფორი, მეშვიდეს—კალი და ფოსფორი, მერვეს—აზოტი, კალი და ფოსფორი.

აზოტი (ჩილის გვარჯილა)	№ 5
№ 2 კალი (40% კალის მარილი)	№ 6 აზოტი და ფოსფორი
№ 3 ფოსფორი (სუპერფოსფატი)	№ 7 კალი და ფოსფორი
№ 4 აზოტი და კალი	№ 8 აზოტი, კალი და ფორ.

რაც შეეხება იმას, თუ რომელი სასუქი რამდენი უნდა მიეცეს თითო

კვალს, ამას შემდეგნაირად იანგარიშებთ:

ჩვენ ვიცით რომ მძიმე თიხნარ ნიადაგების გასაპატივებლად დესეტინაზედ ხმარობენ საზოგადოდ:

ჩილის გვარჯილას... 4—6 ფუთს  
40% კალის მარილს. 6—12 „  
სუპერფოსფატს... 18—24 „

ხოლო მსუბუქ ნიადაგების გასაპატივებლად კი

ჩილი სგვარჯილას... 6—8 ფუთს  
40% კალის მარილს. 10—18 „  
სუპერფოსფატს... 18—24 „

თქვენც აიღეთ და, მიხედით იმისა თქვენი მამულის ნიადაგი მძიმეა თუ მსუბუქი, გამოიანგარიშეთ თითოეულ კვალს ამ თქვენ საცდელ მინდორზე რომელი სასუქი რამდენი დასჭირდება. იანგარიშეთ ასე: თითოეული სასუქის რაოდენობა ზემოთ მოყვანილი გაყავით 2400-ზე, რადგან ერთი დესეტინა 2400 კვ. საუენს შეადგენს, და რაც გამოვა, ოთხი იმოდენა აიღეთ თითო კვალისათვის, რადგან თითოეული კვალი ოთხი კვ. საუენია.

შემდეგ იმისა, როდესაც ყველა კვლებს გააპატივებთ ზემორე მოყვანილის წესით, აიღეთ ერთი რომელიმე მცენარე. ვსტკავთ მაგალითად კართოფილი, და დათესეთ ყველა კვლებზე ერთდაიგვევ დროს.

ამის შემდეგ დაგჭირდებათ თვალყურის გადევნება მთელი ცდის განმავლობაში. უნდა შეუცდომელად დაინიშნოს ხოლმე „ცდის დავთარში“ ყოველი განსხვავებითი მოვლენა, რომელსაც კი შეამჩნევთ ამ რვა კვალს: სად როდის ამობიბინდა მცენარე, სად იზრდება ჩქარა, სად მძიმედ; სად უფ-

რო მაღალი, მსხვილი ლერო აქვს მცენარეს, ფოთოლი ფართე; რომელ კვალზე დაიყვავილა უფრო აღრე, სად ჰქონდა ყვავილი უფრო მეტი. როცა კართოფილი შემოვა, ამოიღებთ ცალკეალკე თითოეულ კვალს, შეადარებთ სად უფრო მეტი კართოფილია მსხვილიც და წვრილიც და გაიგებთ, მაშასადამე, სად უფრო უკეთესად განიყირებული ნიადაგი სასუქისაგან. ურიგო არ იქნება მცენარის ლეროფოთლებიც აიწონოს რაოდენობის შესადარებლად.

შემდეგ კარანდაშით ხელში იანგარიშეთ, ბაზრის ფასის მიხედვით, რამდენი შემოსავალი შემოგივათ, რომ 1, 2, 3... დესეტინა გააპატივოთ საუკეთესოდ, რაბდენი დაჯდება მთელი ხარჯი და რამდენი იქნება წმინდა შემოსავალი.

ყველა ამის მოხერხება, რაც ზემოთ ითქვა, არც ისე ძნელია, რომ მკითხველი შეუშინდეს და მოერიდოს მის ასრულებას თავის ოჯახის საბედნიეროდ.

### 3. გულბაათიშვილი.

## მავნე მწერების და მათგან დასავალებულ მცენარის ნიმუშების უკრევა

მავნე მწერების ასებობა მცენარეებზე ბჟირად გამოუცდელ თვალისთვის უხილავი რჩება იმ დრომის, სანამ მცენარე მთლად ან რომელიმე მისი ნაწილი სრულიად არ გახმება. ამ დროს შესაძლებელია თვით დამნაშავემ მცენარე უკვე მიატოვოს. ამიტომ საჭიროა ყურადღება მიექცეს თვით წანახედს: გამჩხარს ან დამჭერარს ფოთლებს, ლეროზე ან ნაყოფზე შემჩნეულს ნაჩრერებს, მახინჯს ლეროებს და ფოთლებს, დავმაჭნილს და დაგვალულს ნაყოფს და სხვ.

როდესაც გამოირკვევა, რომ მცენარე დავადებულია, თუ გინდ ოღნავათაც კი, საჭიროა აღმოვაჩინოთ მიზეზი, თუ ივადმყოფობა მცენარის ან მის რომელი ნაწილის გამოწვეულია არა სოკოებით\*), არამედ სხვა-

დასხვა მწერებით და აღვილი აღმოსაჩენია, ეს მწერები უნდა გულმოდგინედ შეაგროვოთ საკმაო რიცხვით. თუ დავადებულს მცენარეზე აღმოჩნდა რამდენიმე სხვადასხვა გვარი მწერი, უნდა მოგროვდეს ნიმუშიდ რამდენიმე ეგზემპლიარი ყოველი გვარის მწერი, რომ სწორედ ის გამოირკვას, რომელმაც ნამდვილად დაავადა მცენარე.

რაღანაც ზოგიერი ზწერი მეტად პატარაა და აღვილი შესამჩნევი არ არის, ამიტომ მცენარის გასასინჯავად საჭიროა გამალიდებელ შუშის ხმარება. თუ მიწის ზემოდ მყოფ მცენარის ნაწილზე არ აღმოჩნდა მავნე მწერი, საჭიროა მცენარეს გაესინჯოს ფესვები, დაბრული ხომ არა აქვს ფესვები ბოსტანასაგან, ხარაბუზასაგან ან სხვა ჭია-მატლებისაგან და ან ხორცმეტები ან სიმსივნე ხომ არა აქვს მცენარეს ფესვებზე. დაბოლოს უნდა გაისინჯოს ნიადაგი დაავადებულ მცენა-

\*) მცენარენი, რომელნიც დაავადებულნი არიან სოკოებით გამოწვეულ ავადმყოფობით, გამოსარკვლევად უნდა გაიგზავნოს ტფილისის ბოტანიკურ ბაღთან არსებულს მიკილოგიურს კაბინეტში.

რის ქვეშ, ხომ არ ჩასულან მწერები | მცენარის ზემოთა ნაწილიდან მიწაში კვერცხის დასაყრელია. თუ მავნე მწერი აღმოჩენილი არ იქნა, მაინც საჭიროა მცენარის დაავადებულ ნაწილების გაგზავნა კაბინეტში, რადგან ზოგჯერ (თუმცა იშვიათად) ესეც საკმარისია იმის გასაგებად, რომელ მავნე მწერთანა გვაქვს საქმე.

თუ შენიშნული იქნება ავადმყოფობა სხვადასხვა ბალახ-ბულახებზე, სასურველია ამით გავჭავნაც კაბინეტში, რადგანაც ბალახ-ბულახს და კულტურულს მცენარებს ხშირად საერთო ავადმყოფობა აქვთ და, მაშასადამე, შეიძლება ბალახ-ბულახიდან სწორება გადაედოს სხვა მცენარეებსაც.

მცენარეებზე მავნე მწერების შეგროვების დროს იქცევიან ასე: მწერებს, რომელთაც რბილი კანი აქვთ (ბუკნა, ჩრჩილი და მატლები), ათავსებენ შუშის ქილებში ან ცილინდრებში, რომლებშიც ასხამენ სპირტს და წყალს ( $\frac{4}{5}$  ნაწილს სპირტს და  $\frac{1}{5}$ -წყალს). ქილაში სითხეს ზემოდან უნდა დაედოს ბაბა და ისე დაევავას ბანკას პირი მაგრა, რომ სითხემ არ იჭანჭყაროს გზაში.

შემდეგ ქილა უნდა მოთავსდეს ფიცრის ყუთში გაუკეთდეს პრობკა, და გაიგზავნოს ფოსტით. თუ ნიმუშები იგზავნება რამდენიმე, ქილები უნდა დაინუმროს (უკეთესია, თუ კარანდაშით დაწერილი ნომრები თვით ქილაში იქმნება ჩადებული).

მწერები, რომლებსაც მაგარი კანი აქვთ (პეპელები, ბუზები, კალის მაგვარნი და სხ.), უნდა გაიგზავნონ მშრალიად (თუმცა შეიძლება სპირტითაც გაიგზავნოს). ამისთვის მწერი ჯერ უნ-

და მოიკლას, შემდეგ—პეპელის უნდა გაეჭრას მკერდი, ხოლო სხვა მწერნი უნდა დაიხოკნენ სითბოთი (უნდა გილზის მაგვარად მოარგვალოთ ქალალდი, შიგნით მოამწყვდიოთ მწერი და 2—3 წუთი დაიჭიროთ ლამფის ალზე). ამგვარად დახოცილი მწერები იმავე ქალალდით და ან ბამბით უნდა მოთავსდეს ხის კოლოფუში და ისე გაიგზავნოს კაბინეტში. თუ ხელთ გექნებათ სპეციალური მწერების დასახოცი ბანკა გოგირდის ეთერით, ასეთ შემთხვევაში, რალა თქმა უნდა, ისარგებლებთ ამ ბანკით.

უკეთესია მავნე მწერების გაგზავნა, თუ კი შესაძლებელია, ცოცხლად. ასეთს შემთხვევაში მოზრდილს მწერებს (გარდა პეპელებისა) მოათავსებენ პატარა ბანკებში ან შუშის მასრებში, მწერის ჭუპრებს ხავსში გახვეულებს, ხოლო მატლებს—მცენარის ფოთლებით, რომლებითაც მატლები უკვებებიან.

თუ მავნე მწერი ძლიერ არის გავრცელებული და თვალყური ედევნება მას მატლობაში და ჭუპრობაში, სასურველია კაბინეტში ნიმუშების გამოგზავნის შემდეგაც ადევნოთ ადგილობრივ თვალყური, თუ რამდენად არის დაავადებული თვით მავნე მწერი პარაზიტებით. ამისათვის უნდა გაკეთდეს კოლოფი, რომელსაც ერთ ან რამდენიმე მხარეს ჰაერისთვის მარლა უნდა გაეკრას და ამ კოლოფუში უნდა აღიზარდნენ მატლები და შენახული იქმნენ ცოცხალი ჭუპრებიც. პარატიზმები, რომლებიც გამოვლენ ავადმყოფ მავნე მწერების მატლებიდან და ან ჭუპრებიდან, უნდა გაიგზავნონ კაბინეტში ცოცხლად (შუშის მასრებში)

ან დახოცილები. ამასთანავე ერთად უნდა ეკონომის კაბინეტს, თუ როდის გამოვიდა პარაზიტი, რამდენად იყვნენ დაავადებულნი მავნე მწერის მატლები და ჭუპრები და სხ.

წამხდარ მცენარის ნიმუშები უნდა გამოიგზავნოს ასე: დაავადებული ფოთლები უნდა გასწორდეს, სათითაოდ ჩაიწყოს სქელ ქალალდის ფურცლებ შეუ და ოჯავ გამოშრეს მზეზე, ან თბილს აღგილას: შემდეგ ქალალდის ფოთლები მცენარით უნდა მოემწყვდიოს ორ ფიცრის, ან კარტონის ნაჭრებს შეუ და ისე გაიგზავნოს კაბინეთში. დავაადებულს ტოტებს და ღეროებს მცენარისას უნდა მოეჭრას პატარა ნაჭრები, გაიხვიოს რბილად (გამბაში, ხავსში და სხვ.), რომ გზაში არ გაფუჭდეს, და ისე გაიგზავნოს კაბინეთში. ნაყოფს (წვრილს ნაყოფს მთლიანად, ხოლო მსხვილისას — წამხდარ ნაწილს) სდებენ სპირტში და ან უსპირტოთ ჰეზავნიან ყუთით. მცენარის ხორცმეტები, ამოსულნი ღეროებზე, ფოთლებზე, ფესვებზე, უნდა გაიხზავნოს მათის ბუნებრივის სახით.

ნიმუშებთან ერთად სასურველია გაიგზავნოს ყველა ცნობები და პირადი დაკვირვება. აუცილებლივ საკიროა შემდეგი ცნობები:

1. სწორედ უნდა აღინიშნოს დრო (თვე და რიცხვი) და აღგილი (მაზრა, სოფელი და სხვა), სად და როდის იყო აღმოჩენილი მცენარის ავადმყოფობა.

2. რაში გამოიხატება ეს ავადმყოფობა (ფოთლების ჩამოცვივა, ფესვების გამოხვრა, ქერქისა და ნაყოფის წახდენა და სხ.)

3. რაოდენობა წანახედისა (სივრცე დაავადებულ მინცვრისა, % დაავადებულ ხეებისა და სხ.)

დასასრულ, იმ შემთხვევაში, როდესაც აღგილობრივ მცენარებთათვის ცნობილია მცენარეების ავადმყოფობა და აგრედევ წამალიც მის წინააღმდეგ, ენტომოლოგიური კაბინეთი მაინც სთხოვეს, აცნობონ მას ამ მავნე მწერების არსებობა ამა თუ იმ მცენარეზე, რა ვნება მოაქვთ მათ, როგორ საშუალებას ხმარობენ მათ წინააღმდეგ და რა შედეგი მოსდევს ასეთ საშუალების ხმარებას. ამგვარი ცნობები საჭიროა ამიერ კავკასიაში არსებულ მავნე მწერთა აღწერის შესადგენად და დისაბეჭდად ყოველწლივ.

ყველა წერილებიდა ამანთები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ტფილისი. ბოტანიკურ ბალის ენტომოლოგიური კაბინეთი.

ფ. ზაიცევი.

## კულტურული დუღიდება ანუ დროშები და მისი მნიშვნელობა მემკინეობაში \*)

ლვინოები დადუღებულნი კულტურული დუღიდებით კარგად ინახებიან, ძნელად ავადდებიან, ვიდრე თავიანთთავად დადუღებულნი.

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მალე დაწყებული და ენერგეტულად გავლილი

\*) იხ. „მოსავალი“ № 4.

დუღილი არ აძლევს ნებას, რომ სხვა მავნე მიკროორგანიზმები გამრავლდნენ. რაღანაც ბუნებრივი დუღილი სუყოველთვის თავის დროშედ არ იწყობა და მასთანავე არც საკმარისი ძალა აქვს, ამიტომ, მავნე მიკროორგანიზმები უფრო შესაძლოა გამრავლდნენ და დააზიანონ ღვინო.

კულტურული დოკუმენტი კი ამ მხრივ აგვაცილებენ ყოველივე შემთხვევას. გამოცდა გვიჩვენებს, რომ ღვინო და-დუღებული კულტურული დუღიდებით უფრო კარგად ინახება, ვიდრე დადუ-ღებული თავისთვად. მაგარაჩის სარ-დაფში და ბესარაბის შეღვინეობის სა-სწავლებელის სარდაფშიც ბევრჯელ აუღიათ, მაგალითად, ერთი და ერთი ტკბილი, გაუყვით ორ თანასწორ ნა-წილად, ერთი დაუღებით კულტუ-რულად, მეორე თავისთვად და ყო-ველთვის პირველი სჯობნებია მეორეს. რომ კულტურულად მომზადებული დუღიდები ებრძვიან სხვა მიკრო-ორგანიზმებს, ეს შემდეგ მოვლენი. დან სჩანს. ერთი და იგივე ტკბილიდან მიღებულ ღვინოებში კულტურული დუღიდებით დადუღებულში და თა-ვისთვად დადუღებულში სპირტის რაო-დენობა სხვადასხვაა: პირველში  $\frac{1}{2}$  ხან  $10/0\text{-}10$  მეტია ხოლმე, ვიდრე მეორეში. რაღაც სპირტი მიღება შაქრიდან, და ერთდაიგვე ტკბილს თანასწორ ზომით დადუღებულს უნდა მოეცა თა-ნასწორი სპირტი, მაშ სჩანს, რომ ნა-წილი შაქრასა ამ მეორე შემთხვევაში სხვა მიკროორგანიზმებს დაუხარჯავთ, როგორც საკვებავი.

### ღვინო დადუღებული კულტურულ დუღიდებით ძალიან მაღა- წმინდავდება

ღვინის მაღა დაწმინდავდებას დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა მეურნეო-ბაში, სადაც ღვინო მაღა უნდა გა-ყიდონ. მაღა დაწმინდავდებული ღვინო, მაღაც შეიძლება გაიშვას გასაყიდად. ყველა ჯიშის დუღიდებით ერთნაირი არ აწმინდავდენ ღვინოს. რომ შევადაროთ ერთნაირი ხნის ძველი ღვი-

ნები, ვნახავთ რომ ღვნიო დადუღე-ბული კულტურულ დუღიდებით მა-ლე დაწმინდავდებულა, ვიდრე დადუღე-ბული თავისთვად. მალე დადუღებუ-ლა მთლად და მაღაც მომზადებულა გასაყიდადც და ბოლოებში გადასალე-ბათაც ხანგრძლივ შესანახავად.

### კულტურული დადუღება აძლევს ღვინოს კარგ გემოს და სურნე- ლოვანობას

დუღიდების ამ თვესებამ პირველ ხანად დაიდ ყურადღება მიიქცია, და მასთან ევ გადაჭარბებული იმედებიც კი გამოიწვია. ეგონათ დაბალ ღირსე-ბიან ღვინოებს მაღალ ღირსებიან ღვი-ნებათ გადააკეთებდა.

### კულტურული დუღიდების ხმარება

კულტურული დუღიდები მზად-დება და იგზავნება ლაბარატორიები-დან პატარა შუშებით, სადაც მათ აქვთ მიცემული თავიანთი საკვებაციც. ეს შუშები დახურულია ბაშბის პრობკით, რომელსაც შემოხვეული აქვს პერგამენ-ტის ქაღალდი. ვინც გამოიწერავს, ხმა-რებამდე უნდა შეინახოს ცივ ადგილას და მასთან გაუხსნელი. დუღიდები, რომელნიც შუშაშია, პირდაპირ კი არ ეძლევა ტკბილს დასაღუღებლად, არა-მედ უნდა შეზავდეს ცალკე ხაშად და ისე მიეცეს მერე.

მომზადება ხაშისა მდგომარეობს შემ-დეგში: რამდენიმე ღლის წინედ რთვლის დაწყებამდე, ესე ორი—ოთხი ღლის წი-ნად უნდა დაიწუროს მწიფე და საღი ყურძნი.

რაოდენობა ხაშისთვის დასაწური ყურძნისა დამოკიდებულია იმაზედ თუ, რავდენი ტკბილი იქნება დასა-

დუღებელი. რაღაც რთველი რამდენიმე დღე გაგძელდება, ამიტომ ხაში უნდა მომზადდეს ცოტცოტა-ობით, და არა ერთბაშად. ყოველ ას ვედრა ტკბილზე უნდა მომზადდეს 1 ვედრო ხაში. თუ ამ ზომის მომზადება რაიმე მიზეზის გამო შეუძლებელია, მაშინ  $\frac{1}{2}$  ვედრო მაინც უნდა გაკეთდეს 100 ვედროზედ. ხაშის შესახავებლად ჩასხავენ ტკბილს სპილენძის ან რკინის ჭურჭელში, მხოლოდ კი უსათუოდ მოკალული უნდა იყვეს, და დაუწყებენ გათბობას, ამასთანავე ურევენ მალ-მალ. როცა ტკბილი დაიწყებს დუღილს, მაშინ შეაჩერებენ მორევას და ადუღებენ ხუთ წუთს; ქაფს მოხდიან კოვზით. ეს ადუღებული ტკბილი უნდა ჩაისხას მაშინვე კარგად გარეცხილ ცხელი წლით ბოჭკაში და მაშინვე დახუროთ ბამბაში გახვეული პროცესით. დასტოვებთ ასე მეორე დღემდე, სანამ ტკბილი გაცივდება. პრობკა არ უნდა იჩადოს, სანამ კულტურული დუღიდები არ ჩაიშვება. ბოჭკა უნდა იყვეს იმოდენა სივრცისა, რამდენიც ტკბილი არის მომზადებული, მხოლოდ  $\frac{1}{3}$  თავისუფალი ადგილი უნდა დარჩეს ბოჭკაში, რომ დუღილის დროს ქაფი გარედ არ გადმოისროლოს. დუღიდების ჩაშვება გაცივებულ ტკბილში ასე უნდა მოახდინოთ: პირველად უნდა გადაეცალოს შუშას დანით ან ცხელი წყლით იარლიკი, რაზედაც სწერია დუღიდების სახელი; შერე გადაცლიან პერგამენტის ქაღალდს, რომელიც შემოხვეული აქვს ბამბის პრობკას. ჩასხავენ სტაქანში ცოტაოდენს ღვინის სპირტს და ჩასდგამენ პატარა ხანს შიგ შუშას: სტაქანს ისე დაიკერენ, რომ სპირტი ასველებდეს შუშის გვერდებს,

ყელს და ცოტათი ბამბის პრობკასაც. შემდეგ ამოიღებენ შუშას, დასდგავენ ბოჭკის ახლოს, სადაც ტკბილია ჩისხმული, და მოუკიდებენ ცეცხლს სპირტს, რომლითაც შუშა დაასველეს. სპირტი დაიწყება და დახოცავს ყველა მიკრობებს, რაც კი შუშის გარედ იყვნენ. როგორც კი დაიწყება სპირტი, აიღებენ მაშინათვე შუშას დასველებულ სპირტში თითებით, ისე რომ ყელი ძირს ქინდეს შუშას, სწრაფად მოხდიან ბამბის პრობკას, ახდიან პრობკას ბოჭკასაც, ჩაგდებენ შიგ შუშას და მაშინათვე დახურვენ ბოჭკას სახურავს. ყველა ეს ხდება ძალიან სწრაფად, რადგან საშიშია, რომ მავნე ორგანიზმები არ მოჰყვნენ ჰაერიდან როგორც შუშაში აგრედვე ბოჭკაში. ამის შემდეგ ეს მომზადებული ხაში კულტურული დუღიდებისა უნდა დაიდგას თბილს თოახში. რამდენიმე დღის შემდეგ ტკბილი დაიწყებს დუღილს და უკვე შეგვიძლიან ვიხმაროთ. საკვებავი მასალა, რომელიც შუშაში იყო დუღიდებულისთვის, არავითარ გავლენას არ იქნიებს ტკბილზედ.

როცა თეთრი ღვინო სურთ უჭირდ დაადუღონ, დუღიდების ხაშს დაასხამენ ტკბილს, მანამდის თავის ბუნებრივი დუღილი დაიწყებოდეს, რადგან კულტურულ დუღიდებებს შეუძლიანთ იქმნიონ ზედმოქმედება უჭიროთ დაყენებულ თეთრ ღვინოზე, მის მთლიან გადადუღებაზედ, დაწმენდაზე და გემოზედ, მხოლოდ მაშინ სანამ ბუნებრივი დუღილი დაიწყობა. წითელ ღვინოს კი ხაშს აძლევენ თანდათანობით და არა ერთბაშად რადგანაც საჭიროა რომ ყველგან თანასწორად, მოხვდეს ხაში, სანამ მთელი ჭურჭელი გაივსება ჭაჭით.

ଓঝৰেড়ো ইংগ্ৰেজীৰ কৰাৰা তথৰ ল্যান্ড  
অল্যুন্ডেড্বেন্স প্ৰক্ৰিণ্যেড. তৃতীয় মৌমাছিৰ দ্বিতীয়লিঙ  
কাৰণ সাৰ্বীকৰণীৰ আৰু আৰোৱা, কৰাৰ মতেজিৱি  
ল্যান্ডেড্বেন্স দ্বাৰা ল্যুন্ডেন্স, মাৰ্শিন, ইংগ্ৰেজীৰ  
সেৱা: কৰাগোৰুপ শ্ৰেণীৰ কৰাৰ দ্বাৰা  
চৰিষুন অৱলোকন প্ৰক্ৰিণ্যম, মাৰ্শিনাৰ্থে  
কুলুটুৰুল অৱলোকন দ্বিতীয়েড়েড মৌমাছি-  
দ্বিতীয় কৰিব আৰু প্ৰক্ৰিণ্যস কৰিব।  
মৌমাছিৰ প্ৰক্ৰিণ্যস, মৌমাছিৰ প্ৰক্ৰিণ্যস  
কৰিব পৰিবেশ আৰু আৰোৱা দ্বাৰা অৱলোকন  
কৰিব পৰিবেশ আৰু আৰোৱা দ্বাৰা অৱলোকন  
কৰিব পৰিবেশ আৰু আৰোৱা দ্বাৰা অৱলোকন

დასალულებელი, მაშინ შეგვიძლიან  
მოვიქცეთ ამ რიგად: უნდა ავილოთ  
ახლად დაწურული ტკბილი ესე 10—20  
ვედრამდე და მივცეთ ერთი 1—2 ვედ-  
რა ხაში. როცა ტკბილი დაიწყებს  
დუღილს, მაშინ ამ აღულებული ტკბი-  
ლით ვისარგებლებთ, როგორც ხა-  
შით.

Күллөтүрүллөрдөң өзүлөндөлөбөс гафта-  
шырақа Шэпидлүгдө Шэргүйгө әншүйе-  
бидәб: г. Ялта. Магарачская энох-  
мическая лаборатория. об г. Киминевъ.  
Опытная винодельческая станция.

სოსო ედილაშვილი.

# საყურადღებო ცნობები

კრუხის განთავისუფლება მავნე მწერე-  
ბისაგან.—კრუხის კვერცხებზე დასმის წინ, ბუ-  
დეში უნდა ჩაიყაროს ერთი სავსე სტოლის  
კოჭი გოგირდის ფხვნილი. გოგირდი თანდა-  
თან იშლება ფრინველის სიმსურვალის ზედმოქ-  
მედებით და მოედება მთელ სსეულს. რაიც ჰქო-  
ცავს ქათმის ტანში მყოფ მწერებს და მათ  
ნაყოფსაც. მავნე მწერებისაგან კრუხის დაცვას  
გავლენა აქვს აგრედვე ახალ გამოჩეკილ წი-  
წილებზედაც.

**საქათმის დაწენდა.**—საქათმეში ხშირად  
ბედოენ სხვადასხვა მწერები, რაც დიდად  
აწესებს შინაურ ფრინველებს. საუკეთესო სა-  
შუალება ამ მოსამირებლად მწერების გა-  
გირდია. როცა საქათმეში ქათმები არ არის,  
შეიტანეთ კაცით გავირდი, მოუკიდეთ ცეცხ-  
ლი და დატავეთ კარღაჭეტილში. საქათმეში  
მყოფი მწერები დაიკაცებიან გავირდის კვამ-  
ლისაგან.

კანაფის ზეთი მწერების წილადმდეგ. კა-  
ტას, ძაღლს და სხვა შინაურ ცხოველებს ეში-  
რად უჩნდებათ რანში სხვადასხვა მწერები. რა-

ნი დაუზილეთ კანაფის ზეთით და მწერები  
სრულიად დაიხვდებიან.

**କାଶିଲୋକରୀର ଶେନାକ୍ଷେତ୍ର**. ହିମ୍ବାର୍ଦୀ ସମ୍ପିଳନଙ୍କିଲେ  
ଶୁରୁକ୍ଷେତ୍ରରେ (ମୂର୍ଖାଲ୍ୟରେ ଶୁକ୍ରତ୍ଵରେ) କାରଗାଲ  
ଧାର୍ମିକିଯବ୍ଦିରେ ଶୁଭତା କାମିଦାରରୀ, ରାମଦ୍ୟ-  
ନୀପ ଗ୍ରଜ୍ଞବୀତ, ଧାର୍ଗାତ ପ୍ରସରିତ ଏବଂ କାରମ୍ଭେ  
ତାଙ୍କରିଲେ ଫ୍ରେଣିଟ, ସାନାମଦ୍ୟ ମତଲାଦ ଏବଂ ଧାରିଶ୍ଵର-  
ଦା. ଶ୍ରେଷ୍ଠ ହିମ୍ବାର୍ଦୀ ଶାକ୍ୟରାଜୀ, ଏଥେ କଥା  
ତଥାଲ୍ୟ ଏବଂ କାନ୍ଦି ଏବଂ ହିମ୍ବାର୍ଦୀରେ. ଗାନ୍ଧିଶ୍ଵରରୁଲ୍ଲି ଶ୍ରେଷ୍ଠ  
ନି କାମିଦାରରୀର ଶ୍ରୀଚାନ୍ଦ୍ରାଚାର୍ଯ୍ୟ କାତମିଲେ ଫ୍ରେଣିଟ ସା-  
କାରିମାବୀ ମିଶାଲୀତ, ମାର୍କିଲୀ ଏବଂ ପିଲାପିଲୀ ତେବେ  
ରୀରୀରୀ ଗ୍ରମଶିଖ ପ୍ରାୟବୀତ ଏବଂ ଅନୁଭୂତି ଏଥେ ଅନୁଭବିତ  
ମେତ୍ରୀ ଶୁଭି ଏବଂ ମେତ୍ରୀପ, ତୁ ଶ୍ରେଣି ତଥେଲୀ ଦାରିଦ୍ରା,  
ଏଥେ ମନ୍ଦିରାଦ୍ୟବ୍ରତୀ କାମିଦାରରୀ ଫ୍ରେଣି ହିମ୍ବାର୍ଦୀର  
ଧାର୍ମିକ ଧାରାକୁ ପାଇଲୀ ଏବଂ କାମିଦାରରୀ, ଶ୍ରେଷ୍ଠ  
ପ୍ରମତ୍ତା ସାକ୍ଷମେଲୀ ଶ୍ରେଷ୍ଠ ଏବଂ କାମିଦାରରୀ, ମାଗରାଦ ଏବଂ  
କାମିଦାରରୀ ଧାରାକୁ ପାଇଲୀ ଏବଂ ଶ୍ରେଣିକାରୀ.

က. ၁၇၁၉၁၈

## საგულისხმო მოხსენება\*)

1894 წელს, ყოფილმა მაშინ სახელმწიფო ქონებათა მინისტრად, ერმოლოვმა, როდესაც დაბრუნდა იგი თურქისტანში მოგზაურობიდან, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინა თავისი მოსაზრებანი შესახებ იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს შუა აზიის მებამბეობას რუსეთის სახელმწიფოსათვის და რა გზით შეიძლება თურქისტანის მებამბეობამ არამც თუ კონკურენცია გაუწიოს ამერიკიდან შემოსულ ბამბას, არამედ სრულიად განდევნოს იგი რუსეთის ბაზრიდან.

ეს სიტყვები ხაზწასმული იყვნენ ხელმწიფის მიერ და გამოიწვიეს უმაღლესი შენიშვნა: **ძრიელ სასურველია ამისი ასრულება.**

განვლო მას აქეთ თითქმის ოცმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ცვლილება მოხდა. ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზამ გააღვილა ბამბის მოზიდვა რუსეთის ფაბრიკებში; ამერიკულ ბამბაზე დადებულმა ბაქმა სიმკვდრე მისცა ბამბის ფასს რუსეთის ბაზარზე; ბამბის თესვამ თურქისტანში ერთი - სამათ იმატა: ეხლა 400 ათასი დესეტინა ითესება ბამბით. თურქისტანი, ხივა და ბუხარა ერთად იძლევიან თითქმის ნახევარს იმ ბამბისას, რაც რუსეთის ფაბრიკებს უნდათ დასამუშავებლად, ე. ი. 11 მილიონ ფუთს, ღირებულ 100 მილიონ მა-

\*) ეს მოხსენება მიწათ მოწყობის და მიწათმოქმედების უფროს გამგემ წარუდგინა ხელმწიფე-იმპერატორს, თურქისტანში მოგზაურობიდან რომ დაბრუნდა 1912 წელს.

ნეთად. დანარჩენს 10—12 მილიონ ფუთ ბამბაში, რაც რუსეთის ფაბრიკებს შემოაქვთ ამერიკიდან, ჩვენ 70—80 მილიონ მანეთს ვიხდით ხარკად ყოველწლივ ამერიკულების სასარგებლობა. ბამბის მრეწველობა რუსეთში ჯერაც იმდენად არის დამოკიდებული ამერიკიდან შემოტანილ ბამბაზე, რომელიც  $\frac{9}{10}$  ნაწილს შეადგენს ამერიკიდან შემოზიდულ საერთოდ ყველა საქონლისას, რომ სავაჭრო პირობა-შეკრულობის მოსპობას ამერიკასთან, არაც მოსალოდნელი იყო 1913 წელს, შეეძლო „ბამბის შიმშილი“ გამოეწვია რუსეთში. ცხადია რომ შუა გზაზე გაჩერება შეუძლებელია ჩვენთვის. საჭიროა საზღვარგარეთიდან შემოტანილ ბამბის აღგიღლი შინ მოყვანილმა დააჭიროს: ასრულდეს უმაღლესად დასახული მიზანი.

ჩემს მოგზაურობას თურქისტანში მდგომარე წლის მარტში და აპრილში დროის სიცოტავისა გამო, მხოლოდ ერთი წინადევ გათვალისწინებული მიზანი ჰქონდა მინდოდა პირადად გამეცნო და დავკვირვებოდი იმ აღგიღლობრივ გარემოებებს, რომელზედაც დამოკიდებულია თურქისტანის მებამბეობის გაფართოება.

მთელ იმ მხრისათვის ეს საკითხი, როგორც მე ღრმად დავრწმუნდი მოგზაურობის დროს, მართლაც ცენტრალურ საკითხს შეადგენს, რომელსაც ერთის მაგიერ სამი საყურადღებო მხარე აქვს. თუ ერთ ამ მხარეთაგანს, დღეს ყველაზედ მეტად გამორკვეულს



რუსეთის საზოგადოებისათვის, აწერია „ბამბა,” მეორეს უზის ნიშანი „რწყა“ და მესამეს – ჯერ ისევ დაჩრდილულს, ხოლო ცველაზედ უფრო დიდმნიშვნელოვანს შემდევში – „რუსთა დასახლება“. ამ კითხვების ურთიერთ შორის დამოკიდებულება ნათლად დამეხატა ჩემს იქ ყოფნაში და ამიტომაც ამ ჩემს მოხსენებაში მე მარტო მათ შევეხტი.

### თ ა ვ ი ।

ბამბა.

### რა მნიშვნელობა აქვს თურქისტანის მებამბეობას.

დღეს ძველადგანვე ცნობილი ოლქები თურქისტანისა — სამეფოა ბამბისა.

მთელი მიწის შემოსავალი ამ ევეკანაში სტატ-სტიკური ცნობებით უდრის დაახლოებით 350 მილიონ მანეტს წელიწადში. ნახვარზე მეტს აქედან იძლევა ბამბა. ეს უპირატესობა ბამბისა უფრო ნათლად სჩანს ბამბეულობის მრეწველობაში: 5/6 თურქისტანის საერთო მრეწველობის ღირებულობისას იძლევინ ბამბის გასარჩევი და ბამბის კურკიდან ზეთის გამოსახდელი ქარხნები.

ეს ციფრიებიც რამ არ გვქონდეს და ისე უბრალოდ დავყოთ რაოდენიმე ხანი თურქისტანში, სადაც ბამბაა ხოლმე განსაკუთრებით საგანი საქმიანი ლაპარაკისა, ადვილად მიხვდებით რომ მთელი ამ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება ბამბის მოსავალზე და ბამბის ფასზე არის დამოკიდებული, ამაშია უმთავრესი ძარღვი, უმთავრესი ინტერესი და ზრუნვა ადგილობრივ მცხოვრებლებისა. და მასთან ამაშივეა ის ნასკვიც, რომლითაც თურქისტანი გადებმის მოსკოვს და მთელს დანარჩენს რუსეთს.

ბუნებრივი პირობები ამ ქვეყნისა მცტად ხელშემწყობია მებამბეობისთვის. ეს პირობები ბევრ შემთხვევაში არ ჩამოურჩებიან ამერიკისას, რომელმაც ხელთ იგდო თითქმის მთელი მებამბეობა — ოთხი მეტუთედი ბამბის მოსავლისა მთელს დუნიაზედ.

უხვი მზის სითბო, ხანგრძლივი ზაფხული, ნოვიერი მიწა — ყველა ეს ჩვენც მოგვეპოება. როდესაც ამერიკის მებამბეობა ჩრდილოეთით განისაზღვრება 37°-ით, შუა აზიაში საზღვარი იგი უწევს 43°-ს. მთელი ფერგანი — ეს საუკეთესო რაიონი მებამბეობისა, 40°-ს არის გადაცილებული ჩრდილოეთისკენ.

ფიქრი ამერიკასთან შებრძოლების შესახებ მსოფლიო ბაზარზე ჯერ ნაადრევია: მეტად დიდია ჩვენსა და ამერიკელებ შორის ძალთა განსხვაება. მარტო ერთ შტატს ლუიზიანა მოჰყავს იმდენი ბამბა, რამდენიც მთელ თურქისტანს. მასთან ამერიკაში ბამბა მოდის ურწყავად. ხოლო ჩვენ შეგვიძლიან და უნდა კიდევაც შევეცალნეთ უზრუნველ ვყოთ ჩვენი მოთხოვნილება და მოუკიდებლივ ამერიკიდან მოტანილ ბამბასთან. ამისათვის ყველა საჭირო პირობები ხელთა გვაქვს.

შეიძლება თუ არა, რომ სარწყავი წყალი არ მიეცეს ზედმეტი და ბამბის მოსავალმა კი შესამჩნევად იმატოს თურქისტანში. თუ არ შეიძლება, რატომ?

დიდად სასიამოვნო იქნებოდა რომ, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ახალი სარწყავი არხების გაყვანა არ დაგვჭირდეს და ბამბის მოსავალმა იმ მინდვრებზე, რომლებიც ეხლა ირწ-

ყვებიან, იმდენად იმატოს, რომ რუსთის ბამბის მრეწველობა დაკმაყოფილდეს. ამისათვის საკმარისია აგრონომიულის დახმარებით მეტი გამოსავალი მიეცეს ბამბით დათესილ მინდვრებს და იქ, სადაც ეხლა პური ითესება, ბამბა დაითესოს, ხოლო პური გარეშეთ მიიჩიდოს სყიდვით.

სრულიად წინააღმდეგი აზრია გამო თქმული სენატორ პალენის სარევიზიო შრომაში. გრაფი პალენი 1909 წელს კატეგორიულად ამბობდა, რომ არცერო ნაბიჯი აღარ გადაიდგმება საბამბე მინდვრების გასამატებლად, თუ ახალი სარწყავი არხები არ გავიყვანეთო. მას აქეთ ამ სამის წლის განმავლობაში პალენის აზრი სამჯერ იყო უარყოფილი ცხოვრებისაგან. სარწყავ მინდვრებს არც სულ არ უმატნიათ, მაგრამ ბამბა კი სარწყავ რაიონებში ყოველწლივ მეტი ითესება. ფერგანის სარწყავ მინდვრებზედაც კი, სადაც ბამბას ზედმეტად სთესავენ, ამ სამ უკანასკნელ წელს ბამბა 60 ათასი დესეტინით მეტი ითესებოდა, ვიდრე წინად. ანუ 25—30% -ით მეტი; ზოგიერთ ადგილებში ბამბის თესვამ ერთი-ორად იმატა.

მაგრამ, თუ იგი პესიმისტიური აზრი გრაფ პალენისა არ გამართლდა და შესაძლებლად უნდა ეცნოთ არსებულს პირობებში საბამბე ნახნავების გამატება, არც ის იქნება მართალი, რომ ამ გზით სიარული შემდეგ შიაც დიდად საიმედო გვეჩვენოს. ასე შეუძლებელია დასახულ მიზნის მიღწევა — ჩვენი მებამბეობის განთავისუფლება საზღვარგარეთის მონობისაგან — თუ ახალ სარწყავ არხებს არ გავიყვანთ სარწყავ მინდვრების გასამატებლად.

ამ კითხვის გამოკვლევას ადგილზე განსაკუთრებითი შეიშვნელობა მივეცი და ის რა დაესკვენ შეგრო. ვილი ცნობებიდან: აწინდელი ნახნაბა, სადაც ბამბა ითესება, ჯერ არ არის თავის რაოდენობით მიღწეული შესაძლებელ ზომამდე. ბამბა უფრო მეტი შეიძლება ითესებოდეს სარწყავ მინდვრებზე და კიდევაც უნდა ვეცადნეთ მეტი დავთესოთ ხორბლეულების აღგილას. ესეთი მისწრაფება თურქისტანის მეურნეობისა საერთო-სახელმწიფო თვალისაზრისით სრულიად ბუნებრივიც იქნება და გონივრულიც. ადგილები, სადაც ბამბის თესვა-მოყვანა შეიძლება, ისე ცოტაა ჩვენში (მარტო თურქისტანი და ზოგიერთი ადგილები კავკასიისა) და მოთხოვნილება ბამბის კი ისე დიდი, რომ ამ ადგილებშიაც იგივე პურის თესვა სრული საწინაღმდეგოა გონივრულად დასახულ ეკონომიურ მოთხოვნილებისა.

ზედმეტად მოყვანილი ყოველი ფუთი თურქისტანის პურისა კონკურენციათ ჩაითვლება რუსეთისა და კიშირის პურისთვის; ყოველი ზედმეტი ფუთი ბამბა თურქისტანისა — კონკურენციაა ამერიკული ბამბისა. ამიტომ უმჯობესია თურქისტანს ეძლიოს ნასყიდი პური, ნასყიდი თუნდაც რომ ძირიად, ოლონდ იქაური სარწყავი მიწები განთავისუფლდეს ბამბისათვის.

იმ უზარ-მაზარ ბუნებრივ საღუმლეში, რომელსაც თურქისტანი წარმოადგენს, პირველი ალაგი არ შეიძლება პურს ჰქონდეს დათმობილი; ესეთ ყანებისათვის ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი თავისუფალი ადგილები გვაქვს ტამბოვის, სამარის, სემირეჩინსკის გაშლილ მინდვრებზე. იქ, სადაც უბრალო სარტები ახერხებენ ისეთ შესანიშნავ მო-

რიგობით თესვას, როგორიც არის „ბრინჯი—ნესვი—ბამბა“, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელია მარტო ქერზე და პურზე გადავიაროთ.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღესაც თურქისტანის უძვირფასეს სარწყავ მინდვრებზე ხორბლეული უფრო მეტი

ითესება ბამბაზე, თუმცა ხორბალი, გაცილებით ნაკლებ ლირებული, ზოგჯერ მაგ. მლაშე ნიადაგებზე — ნაკლებ მოსავალს იძლევა ბამბაზე.

1909 წელს, მაგალითად, თურქისტანის სარწყავი მინდვრები ასე იყო დათესილი:

სამართლებრივი კურსი	სამართლებრივი კურსი	სამართლებრივი კურსი	სამართლებრივი კურსი
იმიერ კასპიის ოლქში... 100 ათასი ლარი.	30 ათასი ლარი.	28 ათასი ლარი.	28, 0%
სირ-დარის ოლქში.... 640 "	339 "	29 "	4, 3%
სამარკანდის ოლქში.... 625 "	272 "	22 "	3,5%
ფერგანის ოლქში .... 890 "	370 "	300 "	31,1%

ამგვარად ბამბას ეჭირა (სემირეჩინ-სკის გარდა) საერთოდ 16,8% სარწყავი მიწების, რომელთაგან იმიერ-კასპიის და ფერგანის ოლქებში იყო ბამბით დათესილი თითქმის ერთი მესამედი მთელი სარწყავი მიწებისა (28—31,1%), დანარჩენს ორ ოლქში კი მხოლოდ 40% სარწყავებისა. პურს ეჭირა 10—12 ჯერ მეტი ნახნავი. ქერს, რომელიც სამეურნეო კულტურების ჩრდილოეთ საზღვრებამდე მოჰყავთ მეტ შემთხვევაში, აქ, სირ-დარიის ოლქში, 13%—ზე მეტი სარწყავი მინდორი უჭირავს, სამარკანდის ოლქში—18%—ზე მეტი: სამჯერ და ხუთჯერ მეტი, ვიღრე ბამბას როდესაც რომ წესიერად დაყენებულს ბამბის ხენა-თესვას და შერჩეულს მორიგეობით თესვას შეეძლოთ ბამბისათვის დაეჭირინებინათ ერთი მესამედი მთელი სარწყავი მინდვრებისა. საცდელ მინდორს ეგრედშოდებულ „დამშეულ უდაბნოში“ შემუშავებული აქვს მორიგეობითი თესვა, რომლის საშუალებით ბამბას ეთმობა 40% ნახნავებისა, ხო-

ლო ზოგან თვით ადგილობრივი მცხოვრებლები — ნიადაგის უხვი განოყიერებით — უფრო მეტ გამორჩენას იღებენ მორიგეობითი თესვით.

მაშ რა აპრკოლებს ბამბის ყანების გამრავლებას არსებულს სარწყავ მინდვრებზე? რა უშლის თურქისტანის მცხოვრებლებს, რომელთაც ძან კარგად ესმით ბამბის ყანების ზედმეტი მომცემლობა, რომ არ უთმობენ ამ ყანებს 33% მაინც მთელ სარწყავ მინდვრებისას, თანახმად სწორედ შემუშავებულ მორიგეობითი თესვის მოთხოვნილებისა?

როდესაც ამ კითხვებს ვაყენებდი სათათბიროდ მოწვეულს ადგილობრივ კრებებზე, მომეტებულ შემთხვევაში სამი დამაპრკოლებელი მიწეზი ირკვევდა: 1) სიცოტავე და სიძვირე პურისა და ნამეტნავად საქონლის საკვებისა, 2) უშოვრობა და სიძვირე მუშახელისა და 3) უქონლობა და სიძვირე კრედიტისა.

პურის სიცოტავე და სიძირე. რა  
გზით შეიძლება ასეთ მდგომარეო-  
ბის გაუმჯობესობა.

თურქისტანში პური და საქონლის  
საკედი ეხლა საშინლი: დ ძირად ფა-  
სობს. ფუთი ხორბალი ღირს ჩვეულე-  
ბრივ 1 მ. 50 კ., ხან 2 მანეთიც და  
მეტიც (ჩემს იქ ყოფნაში ფუთი ხორ-  
ბალი ფერგანში 2 მ. 20 კ. ღირდა)  
ფუთი ქერი — 1 მ 40 კ.; ასი კონა  
იონჯის თივა ღირს 25—30 მანეთი  
და სხვ. ამ ოცი წლის წინად კი ფუთი  
ხორბალი ფასობდა 45 კაპ., ასი კონა  
იონჯა 2 მან.

პურისა და თივის ესეთ სიძვირეში  
ერთ წელიწადს რომ ბაშბის მოუსავა-  
ლობა მოხდეს, მრავალი ოჯახი გალა-  
ტიკლება.

აი საიტან წარმოსდგება ის შეში,  
რომელიც აპრკოლებს. თურქისტანის  
სარწყავ მინდვრებზე პურის მაგიერ  
პირალებით ბაშბის თესვას.

### ა) ბაგაროს პური

ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი  
გზა შემდეგია: პურიც და საქონლის  
საკვებიც უნდა საღმე იხლო ითვესებო-  
დეს ბამბის რაიონთან, რომ მალე მიი-  
ტანებოდეს რაიონში. თურქისტანის  
ეგრძელწოდებული ბაგარი მიწები, რომ-  
ლებიც მდებარეობენ მთის კალთებზე  
და ვარგანან ურწყავად პურის მოსა-  
ყვანად, გვიჩვენებენ იმ გზას, რომ-  
ლითაც შეიძლება ბამბის თესვა სარწყავ  
მინდვრებზე პურის მაგიერ უზრუნველ  
ვყოთ ცუდი შედეგისაგან. 1911 წელს  
ბაგაროს მოსავალს თურქისტანში უკვე  
ერთ მილიონამდე დასტინა ეჭირა.

ରାଶ୍ୟକେନ୍ତିତ୍ସା ଦା ହିମ୍ବକେନ୍ତିତ୍ସ ଶରୀରରେ ମଲ୍ଲ-  
ବାର୍ଷିକ ମିଳନଦ୍ୱାରା ପରିଚ୍ଯାପିତା ଏବଂ ୫—୬

წლის წინად უდაბნოთ ითვლებოდნენ, ეხლა მეტწილად დახნულებია საბაგარო პურისთვის ცხადია, მაშინადამე, რომ აქ სწორედ ამ გზით უნდა მიეცეს განვითარება მკვიდრთა მეურნეობას (туземное хозяйство).

სარწყავ ბარიღან პური და სხვა ხორ-  
ბლეული მაღლა მთებში, ბაგარო მი-  
წებზე, უნდა ავიდეს და თავისი ალაგი  
ბამბას დაუთმოს, რაც უკვე ხდება  
ფერგანში. მხოლოდ შემოდგომის პუ-  
რი, რომლისთვისაც სარწყავ წყალს  
ხმარობენ იმ დროს, როცა ბამბას არა  
სჭირდება, შეიძლება ცოტაოდენი დარ-  
ჩეს სარწყავ მინდვრვბზე მორიგეობით  
თესვაში შეტანილი. ამავე სარწყავ  
მინდვრებზე უნდა მიეცეს ალაგი ონ-  
ჯასაც, როგორც პურის შემდეგ მეო-  
რე უმთავრეს სამეურნეო მცენარეს.  
მომეტებული სარწყავი მიწები კი და-  
ქომოს ბამბას.

ხორბლეულ მცენარეების თანდათან  
გადასახლება ურწყავ ადგილებში, რომ-  
ლებიც აქ მრავლად არიან და რომელთ  
დამუშავება ერთიანრად ნაკლებად  
ჯდება, აი რას უნდა ელტოდეს სამე-  
ურნეო კულტურა ამ ქვეყნისა. ამ სა-  
ქმეს უნდა დაეხმარნენ ადგილობრივი  
დაწესებულებანიც. მოწყობა მეურნე-  
ობისა ურწყავად; თესლეულობის შერ-  
ჩევა; ბაგარო მინდვრების დაცვა კალიი-  
საგან, ნამეტნავად მთის კალთებზე,  
სადაც ხშირად იცის კალია, აი ის  
სფერა, რომელშიაც უნდა მოქმედობდეს  
მეურნეობა ამ ქვეყნისა, ჯერ ისევ  
მცირედად ნაამაგდარისა.

8) Խյոնու ցիա արտս—զերնո

მაგრამ ყველაზე უტყუარი და ჩქარი  
ზა თურქისტანისათვის იაფი პურის

საშოვნელიდ, როგორც ყველანი ერთ-ხმად ამბობენ ადგილობრივ, ეს არის არქისიდან ვერნამდე რკინის გზის გაყვანა, რომელსაც დიდი ხანია ყველანი მოელიან და რომელმაც თურქისტანი უნდა შეაერთოს სემირეჩინსკის ოლქ-თან. სემირეჩინსკი და მისი მომიჯნე მაზრები სირ-დარის ოლქისა, მოელი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის კუთხე თურქისტანისა, თავისი მდიდარი საძოვრებითა და სახნავებით — ბუნებრივად არის დანიშნული ხორბლეულების მოსაყვანათ და მესაქონლეობისათვის; აქედან უნდა ეძლეოდეს სამხრეთ-დასავლეთს, მებამბეობის რაიონს, პურიცა და ხორციც. იმის წარმოსაღებად, თურამდენად ნოყიერია სემირეჩინსკის მიწები, საკმარისია ვსთქვათ, რომ ათის წლის განმავლობაში 1895—1904 წ., როგორც სტატისტიკური ცნობებიდანა სჩანს, პურის მოსავალმა აქ გაცალებით გადააჭირდა ყუბანის ოლქის ნაქებ შავ მიწების პურის მოსავალს.

ყოველი დაგვიანებული წელიწადი ამ რკინის გზის გაყვანამდე დიდი დანაკარგია სახელმწიფოსათვის. ახალ რკინისგზათა კომისიის ანგარიშით სემირეჩინსკის რკინის გზას ექნება გამოსატანად ყოველწლივ 28 მილიონი ფუთი ხორბალი.

20—22 მილიონი ფუთი ხორბლის შეტანა აქედან თურქისტანში 400 ათასი დესტრინა ნახნავს შევმატებს თურქისტანის მებამბეობას. ამასთან ფასი ხორბლისა სემირეჩინსკში ერთიორად იაფია თურქისტანის ფასებზე. ალაგობრივ ფუთი ხორბალი იყიდება 60 კა. ; გადასატანი და სხვა ხარჯებიც რომ მივიდეთ ზედ, თურქისტანში ეს ხორბალი დაჯდება არა უშეტეს 80—90 კაპერკი-

სა ფუთი, რაც გაცილებით ნაკლებია თურქისტანში აწ არსებულს ფასებზე.

სხვაც რომ არა იყოსრა, მარტო ამ მხრივ ეძლევა არუს-ვერნის რკინის გზას საკმარი დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა და ამიტომ უნდა ვისურვოთ, რომ ამ გზის გაყვანა, ორ ნაკრად გაყოფილი (არუს—ტიშვევკ და ფიშტვეკ—ვერნი), რაც შეიძლება მაღა მოხდეს.

პირველ ნაწილის გასაყვანად დადებულია 5 წლის ვადა. ასეთი მძიმე-მძიმე მუშაობით ძნელია დაკვირვებულდეთ.

სემირეჩინსკის რკინის გზის შემდეგ ჯერი მიღებება მეორე, უფრო შეტმნიშვნელოვან გზაზე, თურქისტან-ციმბირის მაგისტრალზე: ვერნი—სემირალტინსკი—ალტაი.

როდესაც ეს გზა შეაერთებს თურქისტანს, მებამბეობის რაიონს, ციმბირთან, რომელსაც აურებელი პურის მოცემა შეუძლიან ყოველწლივ, აი მაშინ ყოველი გოჯი აღვილი თურქისტანში, რომელიც თვით ბუნებას დაუნიშნავს ბამბის მოსაყვან რაიონად, შეიძლება ბამბას დაეთმოს და მიოჯერვანი სიმკვიდრე მიეცეს ჩვენს მებამბეობას.

### გ) ტარიფის შემცირება ორენბურგის პურზე.

ღრმებით საჭიროა ეხლაც და კიდევაც დიდხანს იქნება საჭირო თურქისტანში ორენბურგ-სამარის რაიონიდან პურის ზიდვა. ყოველწლივ ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზით მიღის თურქისტანში 10—15 მილიონი ფუთი პური, ხან ამაზე შეტიც: 1910 წელს, მაგალითად, გადაზიდული იყო 18 მილიონი ფუთი პური. ეხლანდელ ტარიფით (30 კა. ფუთზე) ორენბურგიდან

საქ. სსრ კ. მარქსი  
სახ. საბ. რესპექტ.

ანდიაუანამდე—<sup>1/75</sup> კაპეიკობაზე ვერ-სზე) ეს პური იმდენად ძვირად ჯდება თურქისტანში, რომ ყოვლად შეუძლებელია პურის თესვას დაანებონ აქ თავი. ტარიფის შემცირებით <sup>1/75</sup> კაპეიკიდან <sup>1/100</sup> კაპეიკამდე ფასი ხორბალზე თურქისტანში ერთი 7 კაპეიკით დაიკლებდა ფუთზე.

მაგრამ ეს საშუალება ამსთანავე შეამცირებს ორენბურგ-ტაშკენტის რკინის გზის წლიურ შემოსავალს მილიონზე მეტი მანეთით. ტარიფის შემცირებას მოჰყვება მხოლოდ გადასახიდი პურის მომატება, რომელიც მარტო ცოტათი აანაზღაურებს დაკლებულს შემოსავალს. ამიტომ საკითხის გარდაწყვეტა ან ისე, ან ისე ადგილობრივ ინტერესების ფარგალში ძნელი გასაბეჭია და თხოულობს საერთო მოსაზრების თვალსაზრისით დაწვრილებით განხელვას.

მაინცად მაინც ამ საშუალებას დროებითი ხასიათი ექნებოდა. მომავალში ევროპიულ რუსეთის პური, რომელიც ბუნებრივად მიიწევს დასავლეთისკენ, კონკურენციას ვერ გაუწევს თავის სიიაფით თურქისტანში სემირეჩინსკის და ალტაის პურს. უმთავრესი პურის ბეღელი თურქისტანისათვის ბოლოს უნდა სემირეჩივ და თვით თურქისტანის ბაგარო მიწები განდნენ.

#### დ) ადგილობრივი გზები.

ადგილობრივი მცხოვრებლები დიდ მნიშვნელობას აძლევენ არა მარტო ბლომად პურის ქონას თურქისტანში, არამედ ამ პურის აქტო-იჭით რაიონში ადვილად გადაზიდვასაც, რისთვისაც საჭიროა შარა გზების გაყვანა-შეკეთება, რადგან ეხლანდელი გზები ყოვ-

ლად გამოუსადევარნი არიან. ამ გზების შეკეთება საჭიროა რკინის გზის სადგურებზე ბამბის მისატანათაც, რაც დიდ შელავათს მისცემს ბამბის მოენველს.

ყველა ეს მართალია. მაგრამ ადგილობრივ გზების გაკეთება ესეთ მდიდარ ქვეყანაში შინაურ საქმეთ უნდა ითვლებოდეს, რომელიც შეიძლება და კიდევაც უნდა ასრულდეს ადგილობრივი ძალ-ღონით.

სახელმწიფოს მოვალეობა—შისცეს პური თურქისტანს, მებამბეობის რაიონს, და არა თითოეულს ბამბის-მოენველს.

#### მუშის უშოგრობა

ბამბის თესვა-მოყვანის გაფართოებას სარწყავ მინდრებზე აპრკოლებს არა მარტო სანოვაის სიძირი. საგრძნობლად აფერხებს ამ საქმეს მუშა-ხელის უშოგრობაც. ამ უკანასკნელს ათ წელიწადში მუშის ფასმა იმატა  $150-200\%$ ; ეხლა დღიური ფასი მუშისა რაიონის სხვადასხვა კუთხეში იდის საშუალოდ მანეთნახევრამდე ხან ორ მანეთნახევრამდე და მეტზედაც. დესტინა ბამბის მოყვანა თხოულობს ორთა-შუა თითქმის თხუთმეტ თუმანს; ალაგალაგ, მაგალითად, ფერგანში—200 მანეთამდე იდის, ტაშკენტის მაზრაში—250 მანეთამდენაც.

ბამბის თესვამ შეიძლება იმატოს მომავალში მხოლოდ ერთის პირობით, თუ რაიონს მოაწყდა ახალ მცხოვრებლების მუშათა რაზმი ან და მუშების მაგივრად მანქანამ იმუშავა.

იმ მიწებისათვის, რომელიც ახლად იქნებიან სარწყავებად გარდაქცეულნი, მუშა ხელის შოვნა ცხადია როგორც

რნდა მოხდეს: რუსობა გაღმოსახლებული ამ მიწებზე და მისცემს აქაურობას ახალ მუშებსაც. გაცილებით რთულია მუშების შესახებ საკითხი მებამბეობის გასაფართოებლად იმ სარწყავ მიწებზე, რომელიც სარტების კერძო საკუთრებას შეადგენენ.

იქნება თუ არა მიზან-შეთანხმებული რუს-მუშების მოყვანა აქსხვადასხვა ზომების საშუალებით? ამასთანავე იგულისხმება რომ მოსული მუშებიდან, რომელიც როგორც მოწაფენი მიებარებიან გასაწურონად სარტებს დროებით, შეიძლება შემუშავდეს საიმედო მოსახლე ამ ახალ სარწყავ მიწებზე საცხოვრებელი.

ეს აზრი შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ განსაკუთრებულ ფარგლებში. რუსის გლეხობას, რომელიც მზად არის გავიდეს შორს სამუშაოდ, შეიძლება, რასაკვირველია, შეეტყობინოს თურქისტანის დღიური მუშის ფასები. ნამეტნავი ეს საჭიროა სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის რაიონისათვის, სადაც კარხალი მოჰყავთ, რადგან ჭარხლის მოყვანა წააგავს ბევრში ბამბის მოყვანას. ხოლო ამ ზომის ასრულება ფართო ფარგალში კი შეუძლებელია მართველობისათვის.

შეა რუსეთიდან გამოწვევა და ჩიყვანა თურქისტანის კერძო მემამულებებთან რუს-მუშა ხალხისა, რომელიც შეჩვეული არ არის არც ბამბაში მუშაობას და არც თურქისტანის პავას, მეტად ძნელი გასახდია ვიკისროა. თვით მდგომარეობაც რუს ადამიანისა, როგორც მოჯამაგირესი, დაპყრობილ მისგან სარტის ოჯახში, როგორდაც საჩითიროა რუსის სახელისათვის, კარგ შთაბეჭდილებას არ მოახდენს აზიის

სანაპირო ქვეყანაში. მაინცადამაინც არ შეიძლება ამგვარი მოვლენის წესად შემოღება თვით სახელმწიფომ დაადასტუროს.

უფრო ნაკლები შესაწყნარებელია საშუალება, რომელსაც აღვილობრივ ასახელებენ ხანდისხან: გამოწერა იატი მუშებისა კაშგარიდან და ავგანისტანიდან.

ესეთი მუშები, რამოდენიმე ათიათასი რიცხვით, მომეტებულ ნაწილად ჩინელები და რაოდენიმე ავგანელები უკვე შემოეჩივნენ თურქისტანის ბაზარს და კარგა ბლობა ფულს ეზიდებიან ყოველწლივ რუსეთიდან თავიანთკენ. უკანასკნელ წლებში კაშგარელებისთვის დაწესდა ზედმეტი გარდასახადი პასპორტზე, როგორც საშუალება მათ შემოსევის წინააღმდეგ, და სასურველია რომ ეს გარდასახადი კულავაც არ გაუქმდეს.

ჩვენს მეორე სანაპიროზე — ამურის მხარეს, რუსეთს უკვე პქნდა შემთხვევა დარწმუნებულიყო, რა უდევი მოაქვს ჩინელების სიიაფეს; მუშაობით აღებული ფული მათ მთლად საზღვარ გარედ გააქვთ და ბაზარსაც თანდათან ხელიდან აცლიან რუს მუშას. ესეთივე შეცდომის გამეორება თურქისტანშიაც, თუნდაც რომ ვიწრო ფარგლებში, არავისგან არ გვეპატიება.

მუშა ხელის უშოვრობა სარწყავ რაიონში, რაც ეხლა თანდათან იშვიათად ხდება მცხოვრებლების ბუნებრივად გამრავლების მიზეზით და უმამულო ელემენტების რიცხვის ასვლით 25—30%-მდე, შეიძლება მომავალში უფრო ნაკლებად საგრძნობელი შეიქმნას ნიადაგების უკეთესი დამუშავებით. სპეციალური იარაღების ხმარება და

ცხენებით მუშაობა ძან ამცირებენ მუშა ხელის საჭიროებას. გუთნით ხვნა, მწკრივად თესვა, საჩერი მანქანით ნიადაგის გაფხვიერება, ოოხის მაგივრად, როგორც უკვე სცადეს დამშეულ უდაბნოს საცდელ მინდობზე, 30—50% -ით ნაკლებ ხარჯს იწვევს. ამიტომ, სადაც კი ვაკე ადგილებია და მამულებიც დაქუმაცებული არ არის, იქ უნდა ყოველი ღონისძიება ვინმართ, რომ მუშის მაგივრად მანქანამ იმუშაოს. თუმცა მანქანით მუშაობა უველასათვის აშკარაა, რომ უფრო სასარფოა, ვინემ ხელით და ეხლა თვით სარტებმაც დაიწყეს აქა-იქ მანქანების ხმარება.

### წვრილი კრედიტი.

მებამბეობის ხელიშეწყობისათვის უმთავრეს საშუალებად ასახელებენ ალაგობრივ საწარმოო თანხის გაძლიერების ხალხში. ბამბის მოყვანა როტული საქმეა და ძვირადაც ჯდება. ერო დესეტინა მწკრივად დათესილ ბამბის, თუ მებამბე თითონ მუშაობს შივ თავისი ოჯახით, უნდა საშუალოდ 70—80 მანეთი; თუ თითონ არა მუშაობს — 150 მანეთი. როცა მუშა წილში შედის, მათ ჭამა-სმაზე პატრონს ეხარჯება მოსავლის ჩაკლებამდე 70 მანეთზე მეტი დესეტინაზე. ამოდენა საწარმოო თანხა სარტს არა აქვს მომეტებულ შემთხვევაში და იძულებულია ან ვექსილით ისეხსოს, ან საგირავნო ქალალი, ეგრედწოდებული „ვასიხი“ დაუწეროს.

ყოველწლივ, ვაზაფხული რო დაიწყობა, მოსკოვის ბანკები, კერძო ფირმები, მაზრის კასები, საკრედიტო ამხანაგობანი და ყველაზე მეტად კი უფრო

წვრილი ჩარჩები მდიდარ სარტებთაგან, რომელთაც იქაურად „ბაი“-ს ეძახიან, მილიონობით ურიგებენ მებამბებს ფულს ახალ მოსავალში. მარტო ერთი 1903 წლის განმავლობაში ადგილობრივ მკვიდრთა შორის 129 ათასი პირობა-შეკრულობა იყო შედგენილი ხალხის სუდიებისაგან სულ 13 მილიონი მანეთისა. ეხლა ამაზე გაცილებით მეტია ხოლმე ყოველწლივ.

თოთო დესეტინაზე რომ 80 მანეთი ვიანგარიშოთ სესხად აღებული, 400 ათას დესეტინა ბამბის ყანებზე იქნება გაცემული არა ნაკლებ 32 მილიონი მანეთისა. დიდრონი ფირმები სარგებელს იღებენ არა უმეტეს 8—9%, ხოლო რაც უფრო უახლოვდება ნასესხი ფული ხალხს შუამავალთა წყალობით, იმდენი სარგებელიც მატულობს, ისე რომ მებამბე იხდის სესხზე 40—60 პროცენტ სარგებელს და ხშირად ამაზე მეტსაც. თურქისტანში აქამდე მოქმედობს ძველად შემოტანილი ინდუელ ჩარჩებისაგან სხვადასხვანირი ადათი სესხის აღებ-გაცემაში. ყველანი გრძნობენ აქ კერძო ვალებით გამოწვეულს სიღულჭირეს. 1911 წელს მომხდარ მეურნეთა კრებაზე თურქისტანში გამორკვეული იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები საშუალო სარგებელს უწოდებენ 5 მანეთს ათ თუმანზე თვეში, ესე იგი 60% / წელიწადში. ამიტომ, როცა კარგი ბამბის მოსავალია, მაშინაც კი მებამბეს თავინი ვალის და მის სარგებლის გადაწყვეტის შემდეგ, ხელში თითქმის აღარაფერი აღარა ჩებარა გაზაფხულიდან ახალი სესხის აღების მეტი.

უმოსავლო წელიწადში (როცა ცხელი ქარი უბერავს, სარწყავი წყალი

არ იყო საკმაო, კალიაშ გააჩანაგა მო-  
საფალი, ბამბის მაზანდამ იკლო და სხ),  
მებამბე ყელამდე ვარდება ვალში. თუ  
ესეთი მოუსავლობა ვამეორდა, მაშინ  
მიწაც ერთმევა ხელიდან და განაგრ-  
ძობს ცხოვრებას როგორც ხიზანი და  
არა როგორც მესაკუთრე მამულისა,  
რომელიც ამ წლიდან ბაის საკუთრებად  
ითვლება.

ყველა ამის გამო, როგორც ჰმოწ-  
მობენ აღგილობრივ მცხოვრებნი და  
გვიჩვენებენ სტატისტიკური ცნობები,  
ხშირად იქ, სადაც ისევ ხორბლეულს  
სთესავენ და ჯერ ბამბის თესვის არ შეს-  
დგომიან, არ გაულიათ მაღალ ბამბის დიდი  
შემოსავლიანობისა, ხალხი ნაკლებად  
როდია შეძლებული. გარდა ამისა, ყო-  
ფილა შემთხვევები, რომ ბამბის თესვი-  
სათვის თავი დაუნებებით და ისევ  
პურის თესვაზე გადასულიან, რაღანაც  
პურის მოყვანა ნაკლებ ხარჯსა თხო-  
ულობს. ესეთი მოვლენა, რასაკვირვე-  
ლია, არ შეიძლება ნორმალურ მოვ-  
ლენად იყოს ცნობილი: ბამბის შემო-  
სავალი გაცილებით სჭარბობს ყველა  
სხვა კულტურის შემოსავალს. იგრო-  
ნომების გამოანგარიშებით აღგილობ-  
რივ საშუალო წმინდა შემოსავალს  
ერთ დესტინიდან, მუშის ფასი რო  
გამოვიდეთ, ბრინჯი იძლევა 48 მა-  
ნეთს, სიმინდი 26 მანეთს, ბაგაროს  
პური—21 მანეთს, სარწყავი პური—41  
მანეთს, ონჯა—80 მანეთს, ხოლო  
ბამბა—100-დან 200 ვანეთამდე.

თუ ბამბის თესვა აქ, ბამბის სამეფოში,  
სასარფო არ გამოდის, ეს უნდა აიხს-  
ნას იმ ანორმალურ პირობებით, რო-  
მელთ წინააღმდეგ სახელმწიფომ არ შეი-  
ძლება ზომები არ მიიღოს. ბაჟის შე-  
მოლებამ ამერიკულ ბამბაზე უზრუნ-

ველ ჰყო შინაური მებამბეობის სარგებ-  
ლიანობა. მაგრამ მეორე, ამაზე არა  
ნაკლებ საჭირო, საქმე კი აქამომდე არ  
არის გაკეთებული, არ არის დღემდე  
მოწესრიგებული იაფი კრედიტის გა-  
ცემა.

ბამბის მოყვანა თხოულობს იმდენ  
ხარჯს, რამდენსაც ვერ აიტანს წვრი-  
ლი მემამულე, თუნდაც რომ შეძლებული  
იყოს. მეორეს მხრით ეს არც  
დიდი მეურნეობის საქმეა, როდგან ბამ-  
ბას უნდა ისეთი აზიზი მოვლა-შემუ-  
შავება, როგორსაც დაჭირავებული  
მუშა არ იძლევა.

მებამბეობას, ამიტომ, უნდა მისდევ-  
დეს წვრილი მეურნე უზრუნველყო-  
ფილი საწარმოო თანხით, რომელსაც  
იძლევა იაფი კრედიტი.

წვრილი კრედიტის საქმე სახელმწი-  
ფოსაგან თავგანებებული თურქისტან-  
ში, ჩავარდნით ფულის პატრონებს  
აღგილობრივ მცხოვრებლებიდან და  
მათ რჩებათ მებამბეობის მთელი მო-  
გებაც.

მხოლოდ საზარალო იქნება ჩვენ-  
თვის და არა სასარგებლო, თუ სახელ-  
მწიფო თვით არ იკასრებს წვრილ კრე-  
დიტის გაცემას და ფულს დაუთმობს  
შუამავალთ, შეძლებულს კლასს არა-  
რესთავან, რომელნაც დლეს დიდაღ  
ფულს ატრიალებენ და ხვალ მიწებსაც  
ჩაიგდებენ ხელში. კრედიტის მოწყო-  
ბის დაგვიანება საზარალოა არა მარტო  
როგორც მებამბეობის შემაფერხებელი  
მოვლენა; მებამბები ამ მოვლენის  
ზედმოქმედებას მხოლოდ სხვებზე აღ-  
რე გრძნობენ. როგორც პატარა ნაკა-  
დულებს და წყაროს წყლებს ვერ მიუ-  
ღწევით თურქისტანში დიდ მდინა-  
რებდე, რომელშიაც უნდა ჩასულიყვ-

ნენ, და გზა-გზა გაპყავთ-გამოპყავთ მინდვრებისაკენ, სწორედ ისე იხვეწება მდიდარ მოვალეთა ჯიბეებში მთელი შემოსავალი მებამბეობისა, რომლიდან ნატამალიც აღარა რჩება თვით ბამბის მომყვანს.

ჰკარგავს იმავე დროს, რასაკვირველია, სახელმწიფო ხაზინაც. სახელმწიფო ბანკი აძლევს კრედიტს კერძო ბანკებს და მეპამბეთა ფირმებს  $5\frac{1}{2}\%$ / წელიწადში; ესენი თავიანთ მხრიდან აძლევენ ამ ფულს  $8-9\%$  და მიდის ასე გაყოლება, ვიღრე თვათ ბამბის მომყვანს მიაღწევს  $40-60\%$ /წელიწადში. ამისთანა პირობებში  $120\%-იანი$  კრედიტიც კი მოწყალებათ ეწვენება ბამბის მომყვანს ზემოხსენებული შუამავლების ჩამოცალება არაც თუ აუნაზღაურებს სახელმწიფო ბანკს წვრილი კრედიტის გაცემით გამოწვეულს ხარჯს, არამედ დიდ მოგებასაც მისცემს ხაზინას. ამ მხრივ თურქისტანში ჯერ-ჯერობით შაგდენი არა გაკეთებულა-რა.

მაზრის უფროსებთან დაარსებობისა სამაზრო კასა. თანხა ამ კასებისა წარმოსდგა თანდათან იმ ფულიდან, რომელიც შემოქმნდათ იმათვინც ეხლა წევრებად ითვლებიან, ვისაც რამდენის შეტანა სურდა და შეეძლო ყოველწლივ. მაგრამ თანხა ყველა კასებისა საერთოდ პატარაა. პირველ ინვარს 1910 წელს ითვლებოდა ყველგან ერთ მილიონ მანეთზე ცოტა მეტი, თითოეულ მაზრაში 100—150 ათასი მანეთი. მთელი ამ საერთო თანხიდან ფერგანისა იყო ანდიუნის მაზრის კასაში 156 ათასი მანეთი, ნემანგანის მაზრის კასაში—121 ათასი მან., კოკანდში—სადაც 10 დიდი ბანკი მოქმედობს 800

მილიონი მანეთის თანხით, სამაზრო თანხა უდრიდა მხოლოდ 15.098 მან 26 კაბ.

საერთო მოთხოვნილება კრედიტისა კი (400 ათას დესეტინა ბამბის მოსაყვანად, დესეტინაზე რომ 80 მანეთი ვიანგარიშოთ) უდრის შ2 მილიონ მანეთს. სამაზრო კასების გასესხებული ფული აკმაყოფილებს ძლიერს  $30\%$  მოთხოვნილებისას. გარდა ამისა, რაღაც კასა იმყოფება სამაზრო ქალაქში, მსესხებელს სოფლიდან შორს უხდება წასელა და თანაც სხვადასხვა ფორმალურ მოთხოვნილების ასრულება ზედმეტ ხარჯს იწვევს და ამასობაში უიმისოდაც ძვირი კრედიტი უფრო ძვირდება.

სულ ამ უკანასკნელ ხანებში სახელმწიფო ბანკმა დაარსა წვრილი საკრედიტო ამხანაგობანი, მაგრამ ჯერ ეს საქმე ნორჩია, თუმცა ნიშნები განვითარებისა ეტყობა უკვე. პირველ იანვარს 1910 წელს თურქისტანში ითვლებოდა მხოლოდ 10 საკრედიტო ამხანაგობა, რომელთაც პეტონდათ გაცემული სესხად 32 ათასი მანეთი. ეხლა კი მარტო სირ-დარის ოლქში მოქმედობს 76 საკრედიტო ამხანაგობა, რომელთაც გაცემული აქვთ მილიონზე მეტი მანეთი, თითოეულ მებამბე ოჯახზე მიცემით 150-დან 300 მანეთამდე (სამას მანეთზე მეტის გაცემა თითოეულ მსესხებელზე აკრძალულია წესდებით საბამბე რაიონში. ეს ნორმა საჭიროა გადიდდეს).

რაიონებში, სადაც ჩარჩებს ფეხი მაგრა გაუდგავთ, მაგ. ფერგანში, საკრედიტო ამხანაგობანი ძნელად მრავლდებიან. სულ არის რიცხვით—28 ამხანაგობა, რომელნიც ატრიალებენ მთელ

მაზრაში არა უმეტეს 100 – 150 ათას მანეთზე. ხშირად აქ საკრედიტო ამხანგობაც იგივე „ბაის“ ხელშია.

საზოგადოდ კი უნდა ვსთქვათ, რომ სარტყების გაუჭირებელი მატერიალური მდგრამარეობა, მებამბეობის უზომდ დიდი შემოსავალი და გადაჭარბებული სიძირე კერძო კრედიტისა უზრუნველ ჰყოფენ სახელმწიფოს მიერ დააჩვებულ საკრედიტო ამხანაგობების გავრცელებას. ამით სახელმწიფო ბანკი თავისას არა დაკარგვეს და მებამბეს შემოსავალი კი თოთოვეულ დესეტინაზე იმატებს 50 მანეთით. იქნება რომ ამ საკრედიტო ამხანაგობათა საწარმოო თანხის გადიდებამ კიდევაც იქმაროს.

მაინცა და მაინც აღგიღობრივი ჩარჩები იძულებულნი გახდებიან ანგარიში გაუწიონ თუნდ მირტო ამ მოვლენას და თავიანთ გაცემულ სესხს სარგებელი დაუკლონ.

ამ საქმის მოწესრიგება მიწათმოწყობის და მიწითმოქმედების სამართველოს კოპეტენციის გარეშე სდგას.

სასურველია, რასაკვირველია, რომ ამ საქმისთვის კერძო თანხებითაც ვისარგებლოთ შემნახველ - გამსესხებელ ამხანაგობების დაარსებით, მაგრამ მარტო სახელმწიფო ბანკმაც რომ მისცეს ამ ამხანაგობებს იაფ-ფასიანი კრედიტი საწარმოო თანხის გასაღიდებლად პირველად, ესეც იკმარებს და ბანკსაც სრული საბუთი ექნება. ფული ამისა-თვის უნდა გამოიძებნოს: მარტო შემნახველ კასებს თვით თურქისტანში ოფიციალური ცნობებით 15 მილიონამდე მანეთი აქვთ შეგროვილი აღგილობრივ მცხოვრებლებისაგან (უფრო კი ქალაქელებისაგან). პირველი ხანობა ეს ფულიც საკმაო იქნება, რომ წერილ

კრედიტის მოსაწესრიგებლად გადაღდოს ბამბაში გასაცემად.

საკრედიტო ამხანაგობათა წინგასაძლოლად და ერთმანეთ შორის შესაკავშირებლად პირველ ყოვლისა წვრილი კრედიტის ინსპექტორების მოწვევაა საჭირო. გარდა ამისა საჭიროა ამ საქმეში აღგილობრივ დაწესებულებათა დახმარებაც, რომელნიც ახლო დგანან აღგილობრივ მცხოვრებლებთან. როგორც ციმბირში გადასახლებულთავის დაარსებულმა სასოფლო - სამეურნეო სადგურებმა იკრისეს წარსულ ზამთარს შუამავლობა მოკლევადიან სესხის გაცემაში სახელმწიფო ბანკიდან და მშენივრად აასრულეს ეს საქმე 5 მილიონი მანეთის სესხის გაცემით ერბო-კარჯის გამკეთებლებზე, ისე თურქისტანშიაც არ იქნებოდა ურიგო, რომ აღგილობრივმა აგრონომებმა, რომელნიც განაგებენ საცდელ მინდვრებს და სამეურნეო სადგურებს, ინსტრუქტორებმა მეურნეობის ყველა დარგებში, — ერთი სიტყვით მოელმა აგრონომიულმა პერსონალმა, რომელიც ამ წელს 35 კაცისაგან შესდგება, მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ საქმეში. აგრონომი არ შეიძლება ყორეს (აკაკოლავებული მიწის ღობე) შიგნით იჯდეს თავის საცდელ მინდობრზე ან სადგურზე და გარედ არ გამოვიდს იმ დროს, როდესაც მებამბე კრედიტის გაცხარებულ ძებნაშია. აგრონომი მოვალეა მონაწილეობა მიიღოს ამ ცოცხალ საქმეში, აგროვებდეს წევრებს შემნახველ-გამსესხებელ და საკრედიტო ამხანაგობების შესადგენად, თვალყურს აღევნებდეს გატანილ სესხის წესიერად მოხმარებას და თავის პირდაპირი მოვალეობა — რჩევა-დარიგების მიცემა მეუ-

რეკომაში—შეუკავშიროს წვრილი კრედიტის გავრცელებას, რათა ისარგებლოს ხოლმე ყოველი შემთხვევით რომ მართლა დაუახლოვდეს მეურნეს.

უკვე დიდი მოთხოვნილება კრედიტისა დღეს, შემდეგში უფრო იმატებს, როდესაც პურის ადგილის ბამბას დაუწყებენ თესვას, რისთვისაც საწარმოო თანხა ყოველ დესეტინაზე შეტი იქნება საჭირო 40—50 მანეთით. ეს ზედ შეტი ფული შეიძლება მიეცეს მეურნეს მხოლოდ კრედიტით. თუ საკრედიტო ამხანაგობების თანხა არ გაძლიერდა, იმატებს უსათუოდ კერძო კრედიტი და უფრო შეტად შევიწროვდება საერთო მდგომარეობა. ამ მოსაზრების ძალით წრილი კრედიტი აუცილებელი თანამგზავრია მებამბეობის გაფართოებისა თურქისტანში.

### სადამდე შეიძლება გაიმატოს ბამბის თესვაშ სარწყავ მიწების უმატებლად.

გარედან იაფი პურის მიზიდვა, ბამბის მინდვრების მანქანებით შემუშავება, რაც ნაკლებ მუშა ხელს თხოულობს, და წვრილი კრედიტი—აი უმთავრესა პირობები თურქისტანში მეგამბეობის გასამატებლად იმ ბუნებრივ საზღვრებამდე, რომელიც ედება ამ საქმეს აწარსებულ სარწყავ მიწებზე შემოღებულ სამი სხვმდასხვა მცენარის მორიგეობითი თესვით.

რას გვიქადის ესეთი გაფართოება? ეხლა ბამბას უჭირავს თურქისტანში მესამედი კი არა მხოლოდ მეექვსედი ნაწილი სარწყავ მინდვრებისა ( $16,8\%$ ). პირველ შეხედვით—ბევრს გამოჰყავს ასეთი დასკვნა—სჩანს რომ სარწყავი მიწების გაუმატებლივ ბამბის თესვამ

შეიძლება ერთი-ორად იმატოს თურქისტანში და მაშასადამე ბამბაც ერთი-ორად მეტი მივიღოთ, ვიდრე ეხლა ვიღებთ. თუ ეხლა თურქისტანი იძლევა იმის ნახევარს, რამდენიც გვიჭირს, მაშ შემდეგში შეიძლება სავსებით მივიღოთ რამდენიც საჭიროა და ამასთან სარწყავი მიწები კი იმდენივე იყოს, რაც ეხლაა.

სამწუხაროდ, ეს ანგარიში იმდენადვე შემცდარია, რამოდენადაც ამისი წინააღმდეგი აზრია შემცდარი: ვითომ თურქისტანის მებამბეობის გაფართოება შეუძლებელი იყოს, თუ სარწყავ მიწებსაც არ გაემატა.

ბამბის მოსავლის რაოდენობა არსებულ სარწყავ მიწებზე განსაზღვრულია. უმთავრეს საბამბე რაიონებში—ფერგანის და იმიერ-კასპიის ოლქებში—სარწყავი მიწები თითქმის მთლად ბამბას უჭირავს; ბევრი-ბევრი კიდევ შეიძლებოდეს მიემატოს ორივე ოლქებში 50—60 ათასი დესეტინა, მეტი არა. რჩება სირ-დარის და სამარკანის ოლქები. პირველი ამათვანი მებამბეობის რაიონის ჩრდილოეთ საზღვრამდე მიდის, მეორეს კიდე, თუმცა მას ცოტა აკლია ამ საზღვრამდე, მაგრამ სამაგიეროდ მაღალი მდებარეობა აქვს. ამიტომ ბამბის შემოსულა-დამწიფება აქიგვანებს და თესვა მისი ძნელდება, ვიდრე აღრეული ბამბა არ გამოიძებნება ამ ადგილებისათვის შესაფერი. სარწყავი მიწების რაოდენობა ამ ორივე ოლქში უდრის 1.200.000 დესეტინას, თეორიულად ბამბას შეიძლება აქედან დაეთმოს ერთი მესამედი ანუ 400 ათასი დესეტინა. ეხლა კი იმ ორ ოლქში ბამბას უჭირავს მხოლოდ 50 ათასი დესეტინა. მაშასადამე, 200 ათას დესეტინა.

ბამბას უჭირავს მხოლოდ 50 ათასი დესეტინა. მაშასადამე, 200 ათას დესეტინა.

ტინამდეც რომ ავიდეს აქ ბაშბის თე-  
სკა, მაინც ეხლანდელზე ოთხჯერ იქ-  
ნება მეტი. ამაზე მეტად კი გაფართოე-  
ბის იმედი ძნელია ვიქწონით.

ამნაირად თურქისტანის მებამბეობამ  
ოთხივე ოლქში იგრვე სარწყავ მინ-  
დვრებზე შეიძლება წაიმატოს 200 ათა-  
სი დესეტინით (ფერგანისა და იმიერ-  
კასპიის ოლქებში 50 ათასი დესეტი-  
ნით და დანარჩენ ორ სხვა ოლქში —  
150 ათასი დესეტინით), ე. ი. იმატოს  
დარჩეულ ბაშბის გამოსავალმა დაახ-  
ლოებით 4—5 მილიონი ფუთით წე-  
ლიწილ ში.

### აგრონომიული დახმარება.

როგორც საშუალებას მებამბეობის  
გასამატაბლიად აწარსებულ სარწყავ მი-  
წებზე, ასახელებენ აგრედვე ტეხნიკის  
გაუმჯობესობას მეტი მსხმოიარობის  
გამოსაწვევად, ე. ი. დიდი იმედები აქვთ  
აგრონომიულ დაწესებულებებისა. რაც  
ამ იმედების შესახებ თქმულა და ამბო-  
ბენ მე იმის, თუ სრული წინააღმდეგი  
არა, მაინცა და მაინც არც დიდი მომ-  
ხრე ვარ. ადგილობრივ საბამბე შინდვ-  
რების მსხმოიარობა ეხლაც მაღლა დგა.

ამერიკაში დესეტინა იძლევა საშუა-  
ლოდ 14—18 ფუთ დარჩეულ ბაშბას, ანუ 50—60 ფუთს კურკილან გაურჩე-  
ველს. თურქისტანში, ბაშბას რომ ესე-  
თი გამოსავალი ჰქონდეს, აქამდე თავს  
მიანებდებდნენ მებამბეობას. აქაურ რაი-  
ონის მარტო ჩრდილოეთ კუთხეებში,  
მაგალითად ტაშკენტის მაზრაში, ყა-  
ბულდებიან 60—70 ფუთ დაურჩეულ  
ბაშბის გამოსავალს დესეტინაზე. ფერ-  
განში დარჩეულ ბაშბის საშუალო გა-  
მოსავალად ითვლება დესეტინაზე 100  
ფუთი, ხან 200 ფუთიც, ხოლო იმიერ-  
კასპიის ოლქში ზოგჯერ 200 ფუთზე-

დაც მეტი. მთელ თურქისტანში საშუა-  
ლო გამოსავალი დესეტინაზე უნდა  
ვიანგარიშოთ დაურჩეველი ბაშბა არანა-  
კლებ 80 ფუთისა, დარჩეული — 20 — 22  
ფუთი.

ტეხნიკურ შედარებით მაღალი აქვს  
სარტს ბაშბის მოვლა-მოყვანაში. ბაშ-  
ბის კულტურას აქ ბოსტნის ხასიათი  
აქვს, როგორც ჩინელების კულტურას,  
რაც ხელით მუშაობას და ოფლის  
ღვრას თხოულობს ბევრს. ამასთანავე  
შესანიშნავია რომ სარტები უარის ჰყო-  
ვენ მორიგეობით თესვას: ბაშბას 50,  
70, 90% სარწყავი მიწებისა უჭირავს.  
მორიგეობითი თესვის მაგიერ აქ უხვად  
აპატივებენ მიწას სასუქით, რომელზე-  
დაც სარტები ხარჯს არ ერიდებიან და  
ყადულობენ, სადაც კი მოხვდებათ, სა-  
ქონლის სასუქსაც და მინერალურ სა-  
სუქებსაც; წააშლიან ხოლმე აგრედვე  
მინდორს გარეშემო შემოვლებულ მი-  
წის ყორეს ნიადაგის გასახლებლად  
და სხვ. შეიძლება ესეთი წესი ნიადა-  
გის შემუშავებისა, რომელიც დესეტი-  
ნაზე 80—100 ფუთს ბაშბას იძლევა  
ყოველწლივ გაუცდენელად, სწორეც  
იყოს. შეიძლება რომ ამ წესს მარცხიც  
მოვუიდეს როდისმე სასუქის უშოვნე-  
ლობით. მაგრამ ამგვარ შემუშავების  
მაგიერ რომ თეორიულად უფრო სწო-  
რე წესით მუშაობა ჩამდგარიყო მო-  
რიგეობით თესვაზე დამყარებული, ბაშ-  
ბის ყოველწლიური მოსავალი არამც  
თუ არ იმატებდა, არამედ უფრო დაიკ-  
ლებდა.

რასკვირველია, ყოველ ახალ წესს  
ბაშბის მოყვანაში ესეთი საზარალო  
შედეგი არ მოჰყვება. ადგილად შესა-  
ძლოა რომ თესლის უკეთესად შერჩე-  
ვამ, მაგალითად, სარტების ბაშბას შეჰ-

მატოს გამოსავალი. როგორც აღგილობრივი აგრონომები ირწმუნებიან, კარგი თესლი ერთდაიგივე პირობებში 10—15 ფუთით მეტ ბაზბას იძლევა დაურჩეველს. ეს ზედმეტი გამოსავალი მთელ თურქისტანში უწევს 4—6 მილიონაშვერ ფუთს დაურჩეველს ბაზბას ანუ ერთნახევარ მილიონ ფუთს დარჩეულს მაგრამ ყველა ეს ანგარიშები სათურა და არ შეიძლება მასზე დანდობა ასეთ დიდ საქმეში, როგორიც არის ჩვენთვის მებამბეობის გაფართოება.

ჩემის აზრით უფრო მართალი იქნება აგრონომიული დახმარება მივიღოთ, როგორც საშუალება თურქისტანის ბაზბის ღირსების გასაუმჯობესებლად, მებამბეობის გასამკვიდრებლად, გასაიაფებლად და ჩრდილოეთ რაიონებშიაც გასავრცელებლად, საღამდენადაც კუ შეიძლება.

რაც შეეხება მოსავლის მომატებას აწარსებულს სარწყავ მიწებზე, ამის იმედი ისევ სჯობია სხვაზედ რაზედმე დამყარდეს და არა აგრონომიაზედ. ასეთი მისწრაფება თურქისტანში უიმისოდაც ფართოა.

ამერიკული ბაზბის შეტანა თურქისტანში აუსეთის მართველობის ნაამაგდარი საქმეა, გენერალ-გუბერნატორების კაუფმანის, როზენბახის და სხვებისა. თურქისტანის დღვევანდელი აყვავებული მდგმიარეობა, უხვად მინადენი ყოველწლობით ოქრო-ვერცხლის ჩერიალი ბაზბაში გასაცვლელად ამ ზემოსხენებულ პირთა ხანგრძლივი დაუღალვა შრომის შედეგია, რომელსაც ეს მოღვაწენი ეწეოდნენ სამეურნეო დაწესებულებათა ხელმძღვანელობით. იყო დრო, როდესაც მართველობის ასეთ მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებდნენ ადგილობრივ. თურქისტანის უვარებისი ჯიშის ბაზბის მაგიერ, რომელსაც საბნებისა და ხალათების სარჩულს ქვეშ დასადებად ხმარობდნენ, ძნელად სადმე თუ გაბედავდნენ ხოლმე ამერიკული ბაზბის დათესვას. ზოგან, მაგალითად ასხაბადის მაზრაში ჯერ ისევ 1892 წელს მცხოვრებლები ამერიკულ ბაზბას მხოლოდ აღმინისტრაციის საჩვენებლად და გულის მოსაგებად სთესავდნენ.

ეხლა კი მთელი ამ ქვეყნის ბედი მჭირდოდ შეკავშირებულია ბაზბასთან და 90% დათესილი ბაზბისა აქ ამერიკული ბაზბა (ჯიში „უპლანდ“).

თურქისტანის რაიონი დიდი საბამბე რაიონია არის ამ რაიონში ისეთი კუთხეები, რომელნიც შეედრებიან ჰავით ამერიკის ჩრდილოეთ შტატებს, სადაც ბაზბა მოჰყავთ, მათ შემდეგ სამხრეთისაკენ მდებარე შტატებსაც და თვით სამხრეთის შტატებსაც. ამიტომ მარტო ერთი რომელიმე ჯიში ამერიკული ბაზბისა ყველგან ერთნაირად არ გამოდგება თურქისტანში. თურქისტანის საცდელ მინდვრებზე ეხლა 40-ზე მეტი სხვადასხვა ჯიში ბაზბა გამოცდაში. თურქისტანისათვის დიდი მნიშვნელობა იქვთ აღრეულა ჯიშებს, რომელნიც შედარებით ნაკლებ სითბოს იკვარებენ და უკრა ზევით ჩრდილოეთისაკენაც იხარებენ. ამ მრჩივ ბევრი რამ უკვე გამოირკვა. უკელაზე მეტს იმედს იძლევა ჯიში „კინგ“, რომელმაც მშვენიერი შედეგი მოიტანა მუღანზედ, იმიერ-კავკასიაში.

თურქისტანში და ნამეტნავად იმიერკასპიის ოლქში კარგად იხარებენ ამერიკული ბაზბის საუკეთესო ჯიშებიც. მხოლოდ მარტო იმ ჯიშს, რომელიც

ზოგის პირზე მოჰყავთ ამერიკელებს, და აგრედენ ეგვიპტის გრძელ-ბეწვიან ბამბას უჭირთ თურქისტანში და ვერც იხარებენ სრულიად, რადგან აქ უფრო ხმელი ჰავაა ბამბის ჯიშის გაუმჯობესობაში გრძელი, უმეტნაკლებო და მაგარი ბეწვების მისალებად, აქაც ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს.

ბამბა ამ მხრით საოცარი მცენარეა, მორჩილი აღამიანისა. იგი უკვე შეეჩვია შედარებით ნაკლებ სითბოს და აღამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იძლევა იმაზე მეტ ბეწვს, ვიდრე თითონ სჭირდება თესლის გამოსახვევად. ამიტომ ბამბაზე მუშაობა საზოგადოდ სასიამოვნო და წარმტაცია, თურქისტანის საცდელ მინდვრებისათვის და სადგურებისათვის კიდე იგი უმდიდრეს გამოსაკვლევ მასალას წარმოადგენს.

თესლის შერჩევის გარდა აღვილობრავ საცდელ მინდვრებისათვის საკითხებს შეადგენენ: გამოკვლევა იმისი, თუ რამოდენა სარწყავი წყალი ჰყოფნის ბამბას, რომ მოსავალი არ დაზიანდეს (ებლა სარწყავი წყალი არც თავის დროზე ეძლევა ბამბას და უბრალოდაც ბევრი იხარჯება); ნიადაგში მარილების გამონაშვის წინააღმდეგ საშუალებების გამოძებნა; მორიგეობითი თესვის შემუშავება და ნიადაგების საუკეთესოდ გაპატივება.

ამ უკანასკნელ საკითხზე არ შეიძლება არ შევდგეთ ცოტათი მაინც. თურქისტანში საქონლის სასუქის უშოვრობაა. ამიტომ სარტის პატარა მაშულში ნიადაგის გაპატივებას ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს.

### ბამბის კოპტონის გამოზიდვა.

ამ შემთხვევაში თვით ბამბავე იძლევა საშუალებას: ბამბის კურკის ჩენჩო ზეთის გამოხდის შემდეგ ანუ ბამბის კოპტონი, საქონლის საკვებავთ გინდათ, თუ პირდაპირ ნიადაგის გასაპატივებლად, მშვენიერ შედეგს იძლევა: თითქმის მთელი ის სინოყივრე, რაც ბამბის მცენარის გაზრდაზე დაეხმარჯა ნიადაგს, უკანვე უბრუნდება მას ბამბის კოპტონით, უკეთუ ეს უკანასკნელი აქვე დარჩება საქონლის საკვებად ან პირდაპირ სასუქად სახმარებლად. ეხლა სულ სხვა ბდება აქ. ბამბის კოპტონი თითქმის სულმთლად და მასთან ერთად, მაშასადამე ფერგანის მინდვრების ფოსფორიც და აზოტიც, დახარჯული ბამბის მცენარის გაზრდაზე, ამ ქვეყნიდან გარედ გერმანიაში გააქვთ იქაურ მიწების გასაპატივებლად და გასამდიდრებლად. ამ კოპტონს საზღვარ გარედ გასაგზავნად ყიდულობენ კუკანდში 35-40 კ. ფუთს და აღვილობრივ სახმარებლად კი იყიდება 40—60 კაპეიკად. კოპტონის გარედ გატანა ამ ქვეყნიდან უნდა სრულებით აკრძალული იქმნას. ნიადაგის სინოყივრე უნდა ჩვენს საპატები მიწების გამოეზოგოს და არა საზღვარგარედ იგზავნებოდეს.

ამიტომ ტარიფი ბამბის კოპტონზე საზღვარგარედ გასიტანად უნდა სრულებით მოისპოს და მაშინ კოპტონი აქვე დაიხარჯება ნაბამბარ მიწების გასაპატივებლად, როგორც ეს ეხლა ხდება რკინის გზიდან დაშორებულ თურქისტანის რაიონებში.

**რა მნიშვნელობა აქვს ამ მხარება-თვის აგრონომიულ დახმარებას.**

ლიდ ამაგად უნდა ჩაეთვალოთ ჩვენს საცდელ მინდვრებს აქ ნიადაგის მან-

ქანით შემუშავების შემოღება, რაც გაცილებით ნაკლებ მუშა ხელს თხოლლობს. ამ გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გადმოსახლებულ რუსთათვის, რომელთაც დიდრონი მიწები აქვთ მიზომილი და არც ნიადაგის ხელით შემუშავებას არიან ისე შეჩვეული, რომ ამ ადათის გადაფეხა ეძნელებოდეთ. მაგრამ ეს ჩვენი საცდელი მინდვრები და სამეურნეო მანქანა-იარაღების საწყობები უნდა კიდევ შეეცადნენ ძალიან, რომ ბამბის მწკრივად დათესვა მანქანით გავრცელდეს აღგილობრივ მებამბეთა მეურნეობაშიაც.

დიდია აგრედვე ის სარგებლობაც, რომელიც მოიტანეს აქ სამეურნეო დაწესებულებებმა ამ უკანასკნელ წლებში კალიის წინააღმდეგ ბრძოლის წესიერად დაყენებით. ორი მილიონი მანეთი და 14 მილიონი სამუშაო დღე შეილია ამ ბრძოლამ ამ უკანასკნელ 25 წლიწადში; ესლა ბრძოლა (მომეტებულ შემთხვევაში შვეინფურტის წიმლით შესხურება და ხინ ცეცხლით დაწვა) მკვიდრ გზაზეა დამდგარი, მიუხედავად იმისა, რომ შარიატის წინააღმდეგია და კალიაც განდევნილი ბუხარა-ავგანისტანისკენ თანდათან ნაკლებად ხდება საშიში.

ამ სახით საცდელ მინდვრების და აგრონომიულ დახმარების მნიშვნელობა თურქისტანში წინააღმდეგი ესლაც მეტად დიდი იყო იყო და არის. ბევრგან სხვაგან არსებულს აგრონომიულ დაწესებულებებთან შედარებით, აქაურს საცდელ მინდვრების და ინსტრუქტორების სასარგებლო მოღვაწეობა და გაწეული სამსახური სწორედ რომ უმაგალითოა. ესენი აქ სამეურნეო ცხოვ-

რების ძალა-რბილში არიან გამჯდარნი როგორც უსაჭიროესი უჯრედები, და სრულიად შეხორცებულან ამ ცხოვრებასთან. ამიტომ ამ დაწესებულებათა განვითარება ჩემ მიერ დაწვრილებით გათვალისწინებული იქ ყოფნის დროს აღგილობრივ მოღვაწეებთან თათბირით, აუცილებელ საჭმელ მიმაჩნია. განზრახულია: ორი საცდელი მინდვრის—ანდიუანში და დამშეულ უდაბნოში—გარდაქცევა მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებულ საღვურებად, დარსება შვიდი ახალი საცდელი მინდვრისა და სათესლე პლანტაციებისა, აგრონომთა შტატის მომატება და სამეურნეო მანქანა-იარაღების საწყობების გამრავლება.

აგრონომიულ დახმარებას, იაფი პურის შეტანას და იაფი კრედიტის მოწყობას თურქისტანში დიდი მნიშვნელობა აქვს მთელს სახელმწიფოსათვის.

### სარწყავ მინდვრების გამატება.

სრული წინააღმდეგი ვარ იმ აზრისა, ვითომ ამ საშუალებებს შეიძლებოდეს დავჯერდეთ ახალ სარწყავ მიწების გაუმატებლად. ვერც რკინის გზა, ვერც კრედიტი და შიო უმეტეს ვერც აგრონომია ვერ გასწევენ ახალ სარწყავ მიწების მაგივრობას.

ჯერ ერთი რომ ეს საშუალებანი უპირველესად ყოვლისა თხოულობენ ფულსაც და დროსაც. თუ ახალი სარწყავი მიწები არ იქნება, მარტო ამ საშუალებებით ბამბის მოსავალი იმატებს დაახლოებით მხოლოდ ერთნახევარჯერ: 4—5 მილიონი ფუთი დარჩეულ ბამბით. რუსეთის ფაბრიკები მარტო ამით ვერ წავლენ იოლს, რადგან ზედმეტად გვჭირდება 12 მილიონი

ნი ფუთი ბამბა, რომელიც შემოდის ღალს ამერიკიდან, ეგვიპტედან და სხვა ქვეყნებიდან.

### ბამბა იმიერ-კავკასიაში და ხიდა-ბუხარაში.

მართალია, ბამბის მოსავალმა შეიძლება იმატოს სარწყავ მიწების გაუზრუნებლად, არა მარტო თურქისტანში არამედ იმიერ-კავკასიაშიც და ხიდა-ბუხარაშიც. იმიერ-კავკასიის საბამბე რაონებში ბამბას მხოლოდ  $7-10\%$  სარწყავი მიწები უჭირავს; ხიდა-ბუხარაშიც დაახლოებით იგივე  $10\%$ . ხოლო ყველა ამ ადგილებს, როგორც საბამბე რაიონებს, თურქისტანისთანა შიშვნელობა არცოდის არ ექნებათ. იმიერ-კავკასია იძლევა ეხლა 83 ათასი დესეტინიდან ერთ მილიონ ფუთზე უმტა მეტ ბამბას წელიწადში; ხიდა—ნახევარ მილიონ ფუთს 31 ათასი დესეტინიდან; ბუხარა—ერთ ნახევარ მილიონ ფუთს 98 ათასი დესეტინიდან (თანახმად 1911 წლის ცნობებისა). მაშასადამე, სამივე რაიონი საერთოდ იძლევა დაახლოებით სამ მილიონ ფუთს დარჩეულს ბამბას. ეს მოსავალი რამ კიდევაც გაორკეცდეს, სარწყავ მიწების გაუმჯობელად, ამერიკულ ბამბისავან მაინც ვერ დავალწევთ თავს.

### აუცილებელი ზრდა ბამბის მოთხოვნილებისა მომავალში.

არ შეიძლება დავივიწყოთ კიდევ ერთი დიდად საყურადღებო გარემოება: თუ ჩვენ ეხლა გვაკლია 12 მილიონი ფუთი დარჩეული ბამბა, მაშ როდესაც სემირეჩინსკის რკინის გზა გავა და იქნიებენ ზედავლენას აგრძონ-მიული დახმარება და იაფი კრედიტი, იმ

ღროისთვის ბამბეულობის სამრეწველო ფაბრიკებიც მეტ ბამბას მოითხოვენ დასამუშავებლად. ამ 20 წლის განმავლობაში ბამბეულობის მრეწველობამ ერთი-სამაც იმატა: 1890 წელს რუსეთის ფაბრიკებმა დაშუშავეს 8 მილიონი ფუთი დარჩეული ბამბა, 1900 წელს—16 მილიონი ფუთი და 1910 წელს კი—22 მილიონ ფუთზე მეტი.

მაშასადამე, თუ მხედველობაში მიკილებთ ამ აუცილებელ ზრდას დასამუშავებელ ბამბის მოთხოვნილებაშიაც, შეუძლებელია სარწყავ მიწების გაუმატებლად საქართვის ბამბა მივიღოთ.

ყოველი ცდა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა უბრალო, მოკლე გზის გამოსახებნად, ამთა ჩაგვივლის, თუ უმთავრეს ძალას არ მივმართეთ, რომელიც ძირიანად სწყვეტს ამ საკითხს.

### თ ა ვ ი I

სარწყავი არხები

თურქისტანს ეხლა სარწყავ მიწების რაოდენობით მთელ დედამიწის ზურგზე მეორე ადგილი უჭირავს ინდოეთის შემდეგ: საკუთრივ აქ მარტო უკვე  $2^{1/2}$  მილიონი დესეტინა ირწყვება არხებში გაყვანილი წყლით, სემირეჩიიც რო მიკუმატოთ—სამი მილიონი დესეტინა. მართალია, შედარებით მთელ მიწების რაოდენობასთან (159 მილიონი დესეტინა), ეს სარწყავი მიწები პატარ-პატარა კორომებათ დაყოფილნი შეადგენენ ერთად მხოლოდ  $1^{1/2}-2^{0/0}$  მთელ მიწებისას, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ თურქისტანის განთქმულ სიმღიღესაც სწორედ მარტო ეს სარწყავი მიწები შეადგენენ მხოლოდ.

ნი ფუთი ბამბა, რომელიც შემოდის ლეს ამერიკიდან, ეგვიპტელან და სხვა ქვეყნებიდან.

### ბამბა იმიერ-კავკასიაში და ხინა-ბუხარაში.

მართალია, ბამბის მოსავალმა შეიძლება იმატოს სარწყავ მიწების გაუმტებლად, არა მარტო თურქისტანში არამედ იმიერ-კავკასიაშიც და ხინა-ბუხარაშიც. იმიერ-კავკასიის საბაშე ჩინონებში ბამბას მხოლოდ  $7-10\%$  სარწყავი მიწები უჭირავს; ხინა-ბუხარაშიც დაახლოებით იგივე  $10\%$ . ხოლ ყველა ამ აღგილებს, როგორც საბაშე რაიონებს, თურქისტანისთანა ჩინვანელობა არცორდის არ ექნებათ. იმიერ-კავკასია იძლევა ეხლა  $83$  ათასი დესეტინიდან ერთ მილიონ ფუთზე უმტა მეტ ბამბას წელიწადში; ხინა—ნახევარ მილიონ ფუთს  $31$  ათასი დესეტინიდან; ბუხარა—ერთ ნახევარ მილიონ ფუთს  $98$  ათასი დესეტინიდან (თანახმად 1911 წლის ცნობებისა). ჩამასადამე, სამივე რაიონი საერთოდ იძლევა დაახლოებით სამ მილიონ ფუთს დარჩეულს ბამბას. ეს მოსავალი რომ კადევაც გაორკეცდეს, სარწყავ მიწების გაუმტებლად, ამერიკულ ბამბისაგან მაინც ვერ დავაღწევთ თავს.

### აუცილებელი ზრდა ბამბის მოთხოვნილებისა მომავალში.

ამ შეიძლება დავივიწყოთ კიდევ ერთი დიდად საყურადღებო გარემოება: თუ ჩვენ ეხლა გვაკლია  $12$  მილიონი ფუთი დარჩეული ბამბა, მაშ როგორც სემირეჩინსკის რკინის გზა გავად იქნიებენ ზედგავლენას აგრძონ-მული დახმარება და იაფი კრედიტი, იმ

დროისთვის ბამბეულობის სამრეწველო ფაბრიკებიც მეტ ბამბას მოითხოვენ დასამუშავებლად. ამ  $20$  წლის განმავლობაში ბამბეულობის მრეწველობამ ერთი-სამაც იმატა: 1890 წელს რუსეთის ფაბრიკებმა დაშუშავეს  $8$  მილიონი ფუთი დარჩეული ბამბა, 1900 წელს— $16$  მილიონი ფუთი და 1910 წელს კი— $22$  მილიონ ფუთზე მეტი.

მაშასადამე, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ აუცილებელ ზრდას დასამუშავებელ ბამბის მოთხოვნილებაშიაც, შეუძლებელია სარწყავ მიწების გაუმტებლად საკმარისი ბამბა მივიღოთ.

ყოველი ცდა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად სხვადასხვა უბრალო, მოკლე გზის გამოსახებნად, ამაღლ ჩაგვივლის, თუ უმთავრეს ძალას არ მივმართეთ, რომელიც ძირიანად სწყვეტს ამ საკითხს.

### თ ა ვ ი I

#### სარწყავი არხები

თურქისტანს ეხლა სარწყავ მიწების რაოდენობით მთელ დედამიწის ზურგზე მეორე აღგილი უჭირავს ინდოეთის შემდეგ: საკუთრივ აქ მარტო უკვე  $21/2$  მილიონი დესეტინა ირწყვება არხებში გაყვანილი წყლით, სემირეჩიეც რო მიეუმატოთ—სამი მილიონი დესეტინა. მართალია, შედარებით მთელ მიწების რაოდენობასთან ( $159$  მილიონი დესეტინა), ეს სარწყავი მიწები პატარ-პატარა კორომებათ დაყოფილი შეადგენენ ერთად მხოლოდ  $1^{1/2}-2\%$  მთელ მიწებისას, მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ თურქისტანის განთქმულ სიმღიდეებსაც სწორედ მარტო ეს სარწყავი მიწები შეადგენენ მხოლოდ.

თურქისტანის სარწყავ არხებს ღრმა წარსული აქვთ. მერვე საუკუნეში ეს არხები უკვე ყოფილან, უფრო მეტი, როგორც ფიქრობენ, ვიდრე ეხლა არის. ზოგი მათგანი დაშლილა წარსულ ომიანობის დროს, როცა თურქისტანს ხან ერთი მეომარი აპყრობდა და ხან მეორე ფეხლაც სხანან ნიშნები ამ ძველი არხებისა, რომლებიც ერთხელ და ერთხელ დარჩენილან გაუკეთებელნი და გაუქმდებულან. ძველ ქალაქების ნანგრევები და მოძრავ ქვიშათა ზეირთების ღელვა თურქისტანში აშკარად ამ ჩიკიცებები ამ სარწყავ არხების ეხლანდელ უფრო ჩამორჩენილს მდგომარეობას, ვიდრე უწინ ველურ „ბარბაროსა ხანაში“ ყოფილა.

### წყლის რაოდენობა თურქისტანში.

ალბად ამ ნიშნის მოგების თავიდან ასაცილებლად აწინდელ ღროის პირთ წამოუყენებიათ ასეთი საკითხები: მარტო მათი დაუდევრობით აიხსნება ძველი არხების გაუახლებლობა, თუ სხვა რითმე? მხოლოდ ომიანობას და სახელმწიფოსაგან უპატრონობას უნდა მიეწეროს მოსპობა ძველად ყოფილ მთელი რიგი ერთი-მეორეზე მომდევნო ძვირფას სამეურნეო კულტურებისა, თუ კიდევ სხვას რასმეს? ხომ არა შეგბა მთელი თურქისტანი? ხომ არა სკარბობს აორთქლილი წყალი, ქარით გადატანილი აქედან შორს, ციდან ჩამოვარდნილ ნამს? ხომ არ მოელის თურქისტანს თავისი აღსასრული სამხრეთის ცხელი მზისაგან?

საბედნიეროდ, სპეციალისტთა უკანასკნელი გამოკვლევები, ათასი წლის ისტორია თურქისტანისა და ადგილობრივ მცხოვრებელთა ხანგრძლი-

ვი დაკვირვებაც საშიშს არაფერს გვაქადიან.

პირიქით, წყალი თურქისტანის მდინარეებში, ტბებში და ჭებში უფრო მატულობს, რაც ხანი გადის და არა კლებულობს, მატულობს თანდათან ცის ნამიც. საკმარისია შეხედოთ ფერგანის ხეხილის ბალებს და ბამბის მინდვრების გარშემო მდებარე უზარ-მაზარ მთებს სქლად დათოვლილებს, რომ ყოველი შიში გაშრობ-გახმობისა უკუ აგდოთ. რაც უფრო მეტად ცხელა ამ ქვეყანაში, იმდენი წყალიც მეტია; ცხელი ზაფხულის ჰავა აქ დამდნარი თოვლის წყლით არის გაუენთილი.

თურქისტანის მერმისი სწორედ ამ წყლის გამოყენებაზედ არის დამოკიდებული.

რასაკვირველია, უსაზღვრო არ არის ამ წყლის რაოდენობა. მაგრამ ჯერ ეს რაოდენობა უნდა გაიზომოს. ამის გაზომვის თელენენ ადგილობრივი ნამის გამზომი (Гидрометрическая орг.) დაწესებულებანი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ეს საქმე ახალია, დიდ მდინარეების და ტბების შესახებ გამოკვლევები უკვე გათავებულია.

### რამოდენად შეიძლება გაემატოს სარწყავ მინდვრებს.

თანახმად ამ გამომკვლევებისა და იმ ცნობების, რომლებიც შეგროვილია სპეციალური ექსპედიციებით (უკანასკნელი ექსპედიცია იყო 1907 წელს), უნდა ვიფიქროთ, რომ რაც წყალია თურქისტანში, იმით საბამბე რაიონში კიდევ სამი მილიონი დესეტინა ურწყავი მიწა შეიძლება სარწყავებად გარდაიქცეს, ე. ი. იმდენავე მიემატოს სარწყავ მიწებს თურქისტანში, რამდე-

ნიც დღეს არის, ანუ მეორე ახალი თურქისტანი წარმოსდგეს.

ეს ახალი თურქისტანი რამდენობით ძველს, ადგილობრივს თურქისტანზე ნაკლები არ იქნება, სიმდიდრით და კულტურით კი შეიძლება კიდევაც გაღაერებოს მას და ახალი მცხოვრებლები მისი იქნებიან — რუსები ამასთანავე მიღწეული იქნება ჩვენი სამეცნიერებო მისწრაფებაც: იმატებს ბაშბის მოსავალი იმ ზომამდე, რამდენიც სჭირდებათ რუსეთის ფაბრიკებს.

მთელი ამ სამი მილიონი დესეტინა მიწიდან, რომელიც შეიძლება სარწყავებად იქცეს, 1.200.000 დესეტინა გამორკვეულია უკვე საკმარისად, დანარჩენი 1.800.000 დესეტინა კი დაახლოებით არის ნავარაუდევი. რომ ერთი მესამედი ამ მიწებისა ბაშბის დაეთმოს, ბაშბის თესვა იმატებს საყოველწლოდ ერთი მილიონი დესეტინით, ანუ მივიღებთ დარჩეულს ბაშბის გამოსავალს 18—20 მილიონი ფუთით მეტს. ამ სამი მილიონი დესეტინა მიწიდან რომ პირველ ჯერობაზე ერთი შესამედი მაინც გარდაიქცეს სარწყავებათ, ბაშბის თესვა გაიმატებს 400 ათასი დესეტინით მაინც, ანუ ბაშბის მოსავალი იმატებს 8 მილიონი ფუთით. ეხლანდელ მოსავალს რაც უკვე გვაქვს, რომ ეს 8 მილიონიც მივუმატოთ, მივიღებთ იმდენს, რაც დღევანდელ მოთხოვნილების თითქმის დაფარავს, ხოლო ამერიკულ ბაშბის სრულებით განდევნა რუსეთის ბაზრიდან კი მოხერხდება მა-

შინ, როცა ზემოხსენებული სამი მილიონი დესეტინა მიწა მოლად გარდაიქცევა სარწყავად.

### ამურ-დარის ხეობა.

უმთავრესი ძარღვი წყალთადენისა, რომელზედაც მყარდება იმედი სარწყავ მიწების გაფართოებისა მომავალში, არის მდინარე ამურ-დარი, ტოლი თავისი წყლის სიუხვით ეგვიპტეს ნილისა. იმიერ-კასპიის ოლქის ურწყავ მინდვრების სარწყავებად გარდაქცევა, ოვით ამუდარის სანაპიროებზე და ხივა-ბუხარაში სარწყავ მიწების გაფართოება სულ ამ მდინარეზეა დამოკიდებული.

განხორციელდება ოდესმე თუ არა გენიალური აზრი პეტრე დიდისა ამურ-დარის ისევ კასპის ზღვისაკენ დაბრუნების შესახებ (ტეხნიკურად ეს შესაძლებელია), თუ ასრულდება ერთ-ერთია პროექტი ინჟინრებისაგან შემუშავებული ამუდარიდან 300 ვერსზე არხის გაყვანის შესახებ, რომელმაც უნდა გაიაროს მერვი და ტენჯენის რაიონი, ან და მოხერხდება მთელ ამუდარის გაყვან-გამოყვანა არხებში ისე, რომ თვით მდინარეში ნატამალი წყალიც აღარ დარჩეს არც არალის ტბაში და არც კასპის ზღვაში ჩასასველად — ამას მომავალი გვიჩვენებს.

ასე იქნება, თუ ისე დიალი ასასრულებელი საქმე გვიღევს წინ.

სითბო-სიცხოვლით და ნიადაგების სინოყივრით მდიდარი საუკეთესო საბაშბე რაიონი, იმიერ-კასპიის ოლქი, თავისი დიდ მდინარესაგან თავგანე-

7/15/12

32

საგულისხმო მფნენება

№ 5 ლ 6

ბებული, დღეს მკვდარს არის დამგზავ-  
სებული: მთელი ამ ოლქის მიწებიდან  
მხოლოდ ერთი მეტასედი ნაშილი  
ირწყვება მერგაბისა და ტეჯენის მდი-  
ნარებით.

ამ ქვეყნის გამოცოცხლება მის შუა-  
გულისაკენ რამდენიმე ას ვერსე უდა-  
ბნ ადგილებში არხების გაჭრით და  
უხვი სარწყავი წყლის გაყვანით ისეთ  
დიდ ხარჯს თხოულობს და იმდენად  
ძნელია ასასრულებლად, რომ ამის გან-  
ხორციელება და აგრედვე ყველა სხვა  
გეგმების განხორციელებაც, რომელ-  
თაც კი ამუდარიდან სარწყავი წყლის  
გაყვანა აქვთ აზრად დასახული, მერ-  
მისისათვის უნდა გადაიდოს. უფრო  
ადვილი ასასრულებელია შედარებით  
ხივაში 200 ათასი და ბუხარაში 250  
ათასი დესეტინა ურწყავ მიწების სარ-  
წყავებათ გარდაქცევა.

### მდინარე სირ-დარით სარგებლობა.

ჩვენ უნდა ჯერ პირველად მდინა-  
რე სირ-დარის გამოყენებაზე ვიფიქ-  
როთ რუსეთის საზღვრებში. ეს მდი-  
ნარე თუმცა ოთხჯერ პატარაა ამუ-  
დარზე, მაგრამ სამაგიეროდ ეს უკეთ  
არის შესწავლილი და უფრო ემორჩი-  
ლება ადამიანს.

ამ მდინარეთი, გარდა იმ მანდვრე-  
ბისა რაც უკვე ირწყვება, კიდევ ზედ-  
მეტად 700 ათასამდე დესეტინა შეიძ-  
ლება მოირწყას; თუ ზამთრიდან  
შევინახავთ წყალს საზაფხულოთ და  
დაზოგვით დავხარჯავთ, მაშინ ერთი  
მილიონი დესეტინაც მოირწყვება ზედ-  
მეტად.

თანახმად ყველა გამოკვლევებისა,  
რაც ოდესმე მოუხდენიათ აქ, თურ-  
ქისტანის შესასწავლებლად დაარსებულ-  
მა დაწესებულებამ უკვე შეიმუშავა  
ჩემის დავალებით სქემატური გეგმა  
ასასრულებელ სამუშაოსი. ამ გეგმით  
ახალი სარწყავი მიწები ფერგანის  
ოლქიდან მოყოლებით ზედგადაბმულნი  
უნდა იყვნენ ეხლანდელ სარწყავ მი-  
წებზე. ამასთანავე წყლის განაწილებაც  
საპამბე მინდვრებ შორის წინადვე არის  
გათვალისწინებული.

თუმცა ჯერ კიდევ ბევრი რამ შეიძ-  
ლება შესწორდეს ამ გეგმაში, მაგრამ  
მაინც მას ძრიელ დიდი მნაშვნელობა  
აქვს ჩვენთვის.

ეხლა უშიშრად შეგვიძლიან საჭირო  
შენობების აგებას შევუდგეთ სახელმ-  
წიფო ხარჯით იქნება, თუ კერძო პი-  
რებზე გადაცემით.

შეიძლება წყალი გვეყოს მდინარის  
ქვევითა სანაპირო მიწების სარწყავა-  
დაც ტაშქენტის რკინის გზის გაყოლე-  
ბა, საბამბე რაიონის კიდევ იქით, სა-  
დაც საჭიროა დაედოს ბინა რუსთა  
მისახლეობას რომელნიც ხორბლეულე-  
ბის თესას მოჰკიდებენ ხელს.

მაინცადა მაინც, რომ საქმე საალალ-  
ბედოდ არ იყოს დაწყობილი, სჯობია  
ჯერიმბას შევუდგეთ, რასაც არხების  
გაყვანის საქმეში აქაურების გამოცდი-  
ლება გვიჩვენებს.

(შემდეგი იქნება) მარტინი ვ-  
ა-მარტინი და დავით მარტინი და  
ვაკერა და დავით მარტინი და  
რედაქტ.-გამომცემელი გ. ი. რცხილაძე